# სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 30 ივნისი 2005 №146 (2469) ფასი 50 თეთრი


## ლოკომოტივმა სირაძეც დაიბრუნა და უზბეკიც შეიმატა

თბილისის „ლოკომოტივი“ ახალი სეზონისთვის მზადებას თურქეთში განაგრძობს. საქართველოს თასის მფლობელები სამეზობლოს გუშინ ესტუმრნენ და ახალი ამბებიც გვითხრეს. კერძოდ: „ლოკომოტივმა“ კონტრაქტი გაუფორმა გერმანული „ტრირიდან“ წამოსულ დავით სირაძესა და უზბეკეთის ნაკრების ნახევარმცველ ისლამ ინოგოვს. კლუბმა ასევე შეინარჩუნა მცველი მიხეილ მახვილაძე, რომელსაც „ზესტაფონი“ ინვევდა.

უეფას თასზე ერევნის „ბანანცთან“ 14 ივლისის შეხვედრამდე „ლოკომოტივი“ თურქეთში დარჩება. გამორიცხული არ არის, გუნდმა სხვა ლეგიონერებიც დაიმატოს.

## ბოსკამპმა თბილისს ფინამო გაუქეთა

4

## ბოლო წლების უჩვეულობა: დრაფტი უქართველოდ

ანდრიუ ბოგუტი — ბილუოკის ფარეშვეა ო

თბილისის „მართვე“

# მართვემ იბარტყა

**ეროვნული** ჩემპიონატის პარალელურად წლეულს სხვადასხვა ასაკის კალათბურთელთა შორისაც მიმდინარეობდა პირველობა და საქართველოს ახალგაზრდა ჩემპიონებიც ჰყავს.

ორიოდ დღის წინ დასრულდა 1989 წელს დაბადებულთა ჩემპიონატი, რომელიც თბილისის „მართვემ“ მოიგო და ამ ასაკში პირველობა ირგუნა.

ტურნირში 7 გუნდი მონაწილეობდა, რომელთაგან 4 თბილისისა იყო, ხოლო 3 რეგიონებისა. სწორედ რაიონის გუნდი, „სოხუმი“ დაუპირისპირდა „მართვეს“ ფინალში და სერია 1:2 წააგო.

„მართვეს“ გაჩემპიონებაში ლომის წილი ამ გუნდის მწვრთნელებს მიუძღვით. თამაზ ოქრუაშვილს და მიხეილ კობეშავიძეს ყველა კარგად იცნობს, როგორც არაერთი პერსპექტიული მოთამაშის აღმზრდელს. „მართვეს“ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა გუნდის მენეჯერმა ნიკა ჯანდიერმა, რომელიც ახალგაზრდა მოთამაშეთა სელექციითაა დაკავებული.

სიდამონ ქასრაძე

NBA

# ბოლო წლების უჩვეულობა: დრაფტი უქართველოდ

## ენდრიუ ბოგუტი — მილუოკის ფარეხვეშა იმედი

ენდრიუ ბოგუტი დრაფტის პირველი კაცი იყო



ენდრიუ ბოგუტი და მერვინ უილიამსი

**ნბა** გადარჩა გადარჩა და ჩაატარა კიდეც მორიგი დრაფტი — მიიღო ახალი შეკვეთა. არადა, ცოტა ხნის წინ ბრიფკასული საკალათბურთო ლიგა ლოკაუტის წინაშე იდგა, ხელი რის ნიშნავს ლოკაუტი, ამერიკელ ჰოკეისტებს უნდა ჰკითხოთ, რომლებსაც წლევანდელი სეზონი ჩაუარდათ ფინანსური უთანხმოების გამო.

გუშინწინ ნიუ იორკში, დრაფტის გაძლოვის ტრადიციულ ალავ „მედისონ სკვერ გარდენში“ ნბა-ს დრაფტი გაიმართა. ამერიკის სუპერკლუბებმა მორიგი ახალგაზრდული შეკვეთა მიიღეს და ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ამ ამბავმა უქართველებოდ ჩაიარა.

შეგახსენებთ, რომ 2002 წლიდან მოყოლებული ნბა-ს დრაფტში ჩვენიანები განუწყვეტლივ მონაწილეობდნენ. ჯერ იყო და, ნიკოლოზ ცქიტიშვილი მე-5 ნომრად აირჩია „დენვერ ნაგეტსმა“, ხოლო მომდევნო წელს, 2003-ში, „მილუოკიმ“ ზაზა ფაჩულია ირგუნა. შარშან ვიქტორ სანიკიძეზე უფლებები „სან ანტონიომ“ მოიპოვა, ხოლო 2005 წლის დრაფტმა, როგორც უკვე კოქეთი, უქართველოდ ჩაიარა.

მიუხედავად ამისა, დრაფტზე მაინც უცხოეული მოთამაშეების მოზღვავება შეინიშნება. მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, პირველი ნომრის არჩევაა და ის არაამერიკელი გახლავთ.

ენდრიუ ბოგუტი, ავსტრალიელი ახმახი და ამერიკულ სტუდენტურ კალათბურთში აღიარებული მოთამაშე სადრაფტო ლატარიის პირველი ნომრის მფლობელმა „მილუოკი ბაქსმა“ აირჩია.

ბოგუტი იყო გამოკვეთილი იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებსაც პირველ ნომრად არჩევას უწინასწარმეტყველებდნენ და აკი... ერთი სიტყვით, „მილუოკიმ“ ცენტრი აირჩია და ეს ქართველებისთვ'ა მიღად სასიამოვნო ამბავი არ უნდა იყოს.

გასული სეზონი ზაზა ფაჩულიამ „მილუოკში“ გაატარა და კლუბის ხელმძღვანელობის სიმპათიაც დაიმსახურა. გასული სეზონის ბოლოს ზაზას კონტრაქტი დაუმიავრდა მილუოკელებთან და იმედოვნებდა, რომ ახალ ხელშეკრულებას გაუფორმებდნენ, რაკი მთავარ მწვრთნელ ტერი პორტეს იგი თვალში მოსდიოდა.

ჰოდა, ბოლო კვირაში ფაჩულიასთვის ორი არასახარბიელო ამბავი მოხდა. პორტერი მოხსნეს და „მილუოკიმ“ დრაფტზე პირველ ნომრად ფაჩულიას ამბლუის მოთამაშე ენდიუ ბოგუტი აირჩია, რომელსაც ძირითადში ადგილი უკვე ითიქმის გარანტირებული აქვს.

მეორე ნომრად „ატლანტამ“ მერვინ უილიამსი ითვალა, რომელიც იმ უნივერსიტეტის წარმომადგენელია, რომელსაც წლეულს ყველაზე მეტად დაეკვეხნება. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტიდან წლევანდელ დრაფტზე ბლომად კალათბურთელი აირჩიეს და 4 მათგანი პირველ 14-ეულში მოხვდა.

ერთი სიტყვით, ნბა-მ მორიგი შეკვეთა მიიღო და ვინ რა ბეჭია, საზაფხულო ლიგებში გამოჩნდება. ქვემოთ კი იმ 30-ეულის ვინაობას გაეცნობით, ვინც პირველ რაუნდში აირჩიეს.

## პირველ წრეში არჩეულები

| | გუნდი | მოთამაშე | პოზიცია | კოლეჯი/გუნდი |
|---|---|---|---|---|
| 1 | მილუოკი | ენდრიუ ბოგუტი | ცენტრი | იუტა |
| 2 | ატლანტა | მარვინ უილიამსი | ფრთა | ჩრდ. კაროლინა |
| 3 | იუტა (პორტლედისგან) | დერონ უილიამსი | გამთამაშებელი | ილინოისი |
| 4 | ნიუ ორლეანი | კრის პოლი | გამთამაშებელი | უეიკ ფორესტი |
| 5 | შარლოტი | რეიმონდ ჰელტონი | გამთამაშებელი | ჩრდ. კაროლინა |
| 6 | პორტლენდი (იუტასგან) | მატრელ ვებსტერი | ფრთა | სიეტლი |
| 7 | ტორონტო | ჩარლი ვილანევა | თავდამსხმელი | კონეკტიკუტი |
| 8 | ნიუ იორკი (ტორონტოსგან) | ჩარინგ ფრი | ცენტრი | არიზონა |
| 9 | გოლდენ სტეიტი | იკე დიგუ | თავდამსხმელი | არიზონა |
| 10 | ლეიკერსი | ედრიუ ბინუმი | ცენტრი | სენტ ჯოზეპი |
| 11 | ორლანდო | ფრან ვასკესი | თავდამსხმელი | უნიკახა (ესპანეთი) |
| 12 | კლიპერსი | იაროსლავ კარალიოვი | თავდამსხმელი | ცსკა (რუსეთი) |
| 13 | შარლოტი | შონ მეი | თავდამსმხელი | ჩრდ. კაროლინა |
| 14 | მინესოტა | რაშად მაკანტისი | მსროლელი | ჩრდ. კაროლინა |
| 15 | ნიუ ჯერსი | ენტონი რაიტი | მსროლელი | ტეხასი |
| 16 | ტორონტო (ფილადელფიისგან) | ჯო გრამი | ფრთა | ოკლაჰომა |
| 17 | ინდიანა | დენი გრანგერი | ფრთა | ნიუ მექსიკო |
| 18 | ბოსტონი | ჯერალდ გრინი | ფრთა | გალფ შოურზი |
| 19 | მემფისი | ჰაკიმ ვარიკი | ფრთა | სირაკუზი |
| 20 | დენვერი (ვაშინგტონისგან) | ჯულიუს ჰოჯი | ფრთა | ჩრდ. კაროლინა |
| 21 | ფინიქსი | ნეიტ რობინსონი | გამთამაშებელი | ვაშინგტონი |
| 22 | პორტლენდი (დენვერისგან) | ჯერეტ ჯეკი | გამთამაშებელი | ჯორჯია |
| 23 | საკრამენტო | ფრანცისკო გარსია | ფრთა | ლუისვილი |
| 24 | ჰიუსტონი | ლუთერ ჰედი | ფრთა | ილინოისი |
| 25 | სიეტლი | იოან პეტრო | ცენტრი | პო ორტეზი (საფრანგეთი) |
| 26 | დეტროიტი | ჯეისონ მაქსელი | თავდამსხმელი | ცინცინატი |
| 27 | დენვერი (პორტლენდისგან) | ლინას კლეზა | თავდამსხმელი | მისური |
| 28 | სან ანტონიო | იან მაინმი | თავდამსხმელი | ლე ავრი (საფრანგეთი) |
| 29 | მაიამი | უეინ სიმენი | თავდამსხმელი | კანზასი |
| 30 | ნიუ იორკი (ფინიქსისგან) | დევიდ ლი | თავდამსხმელი | ფლორიდა |

# ფიფას კონფედერაციათა თასი 2005
## გერმანია. 15–29 ივნისი

### ფინალი
**ბრაზილია 4:1 არგენტინა**

1:0 ადრიანო (11), 2:0 კაკა (16), 3:0 რონალდინიო (47), 4:0 ადრიანო (63), 4:1 აიმარი (65)

**ბრაზილია:** დიდა, სისინიო (მაიკონი 86), ლუსიო, როკე ჟუნიორი, ჟილბერტო, კაკა (რენატო 86), ემერსონი, ზე რობერტო, რონალდინიო, ადრიანო, რობინიო (ჟუნინიო პერნამბუკანო 90)

**მწვრთნელი:** კარლოს ალბერტო პარეირა

**არგენტინა:** ლუქსი, ძანეტი, კოლოჩინი, ჰაინცე, პლასენტე, ბერნარდი, კამბიასო (აიმარი 56), სორინი, რიკელმე, ფიგეროა (ტევესი 72), ს. დელგადო (გალეტი 81)

**მწვრთნელი:** ხოსე პეკერმანი

**გაფრთხილება:** რონალდინიო, კოლოჩინი, სორინი, კამბიასო, აიმარი

**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

**48 132 მაყურებელი**

# არაჩვეულებრივი ოთხსამბათი ფრანკფურტში

AFP ფრანკფურტიდან

**გუშინ** არგენტინელთა კარი ისე გაირღვა, როგორც ფრანკფურტის სტადიონის თალი. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის საგანგებოდ შეკეთებული „ვალდშტადიონის" ჭერიდან წყალი ისე ჩამოდიოდა, როგორც გაფუჭებული ონკანიდან, ხოლო ხერმან ლუქსის, გაუჩოთა გოლკიპერის კარი, ვინ წარმოიდგენდა და, ბრაზილიელებმა ოთხჯერ ააობრეს.

არადა, კონფედერაციათა თასის ფინალური მატჩი უფრო მონდომებითა და ჟინით სწორედ არგენტინელებმა დაიწყეს. პენტაკამპეონები პირველად მეტოქის საჯარიმოს მხოლოდ მეათე წუთზე მიადგნენ, მეთერთმეტეზე კი დაწინაურდნენ — ადრიანომ გაბრიელ ჰაინცე ჩამოიშორა და ოციოდე მეტრიდან ცაციათი ისეთი მოსხლიტა, ჰაერში გაჭიმულ ხერმან ლუქსს გარჯა წყალში ჩაუყარა. ასეთი მეც ხომ მეხერხებაო, ალბათ გულში გაიცლო კაკამ და ხუთ წუთში მისი შორეული დარტყმის მერე ბურთმა ლამის კარის ბადე გახია.

არგენტინელები ასეთ დასაწყისს ნაღდად არ ელოდნენ, მაგრამ გონს მალე მოეგნენ და გასათანაბრებლად გაიწიეს — ხუან რომან რიკელმეს, ლუჩანო ფიგეროასა და სეზარ დელგადოს ცდა არ დაუკლიათ, თუმც ლომივით მებრძოლი ლუსიოს თამადობით მწყობრად მოთამაშე ბრაზილიელთა დაცვას ვერაფერი დააკლეს.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კონფედერაციათა თასის მფლობელის ვინობა, ფაქტობრივად, გაირკვა. სისინიოს მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს პენტაკამპეონთა კაპიტანმა რონალდინიომ ლუქსის კარისკენ უცვალა გზა. 3:0-ის მერე და თანაც იშტაზე მოსულ ბრაზილიელებთან ნებისმიერი გუნდი დაჰყრიდა ფარხმალს, მაგრამ არგენტინა მოსისხლე მეტოქესთან სამარცხვინო მარცხს ვერ შეეგუებოდა და კვლავ შმაგად შეუტია. ამ საქმიდან კი ის გამოვიდა, რომ ბრაზილიამ მეოთხე გაიტანა. მრავალსვლიანი კომბინაციის მერე ბურთი ისევ სისინიომ მოიგდო, „სან პაულუს" მარჯვენაფლანგელმა ამჯერად ადრიანოს დაასვა ბურთი თავზე და მასაც კარიდან ხუთიოდ მეტრში მდგარს გატანა არ გასჭირვებია.

ხოსე პეკერმანის გუნდმა ისღა მოახერხა, რომ 65-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა პაბლო აიმარმა მოხდენილი თავურით ერთი საპასუხო გაიტანა.

ლუბოშ მიხელის საფინალო სასტვენის მერე კი იყო სამბა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთა დაჯილდოება. 5 გოლით ბომბარდირი ადრიანო გახდა, ხოლო ბრაზილია კონფედერაციათა თასის ორგზის მფლობელი შეიქნა.

**სოსო კოტორეიშვილი**

# ეს გერმანიაა: გაუძევეს, გაუტანეს, მაინც მოიგო!

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

**გერმანია 4:3დ.დ.(3:3) მექსიკა**

1:0 პოდოლსკი (37), 1:1 ფონსეკა (40), 2:1 შვაინსტაიგერი (41), 2:2 ბორგეტი (58), 3:2 ჰუთი (79), 3:3 ბორგეტი (85), 4:3 ბალაკი (97)

**გერმანია:** კანი, ჰინკელი, მერტესაკერი, ჰუთი, შნაიდერი, დაისლერი (ასამოა 67), ფრინგსი, შვაინსტაიგერი (ერნსტი 87), ბალაკი, პოდოლსკი (კურანი 94), ჰანკე

**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი

**მექსიკა:** ო. სანჩესი, სალკიდო, ოსორიო, მ. მენდესი (ა. მედინა 58), ლ. პერესი, რ. მორალესი (მარკეს ლუგო 81), გ. პინედა, ზინინი, პარდო, ბორგეტი, ხ. ფონსეკა (ხ. როდრიგესი 46)

**მწვრთნელი:** რიკარდო ლავოლპე

**გაფრთხილება:** პერესი, ფრინგსი, ასამოა, მედინა, ოსორიო

**გაძევება:** ჰანკე (54)

**მსაჯი:** მეთიუ ბრისი (ავსტრალია)

**42 000 მაყურებელი**

**მესამე ადგილისთვის** მატჩი საზოგადოდ დიდი ვერაფერი ბედენა გამოდის-ხოლმე, მაგრამ გუშინდელი, კარგი თვალსასეირო რამ იყო. აქეთ — საგაისო მუნდიალის ძასპინძელი და ფავორიტთაგანი, იქით — უსიმპათიურესი მექსიკა.

მთავარი თავშივე ვთქვათ: მექსიკა სამჯერ ჩამორჩა შეჯიბრების მასპინელს, მაგრამ სამჯერვე გაუთანაბრა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა, იქ კი, კვირის ორსაათიანი ნახევარფინალით გადაღლილმა, მეოთხედ გათანაბრება ვეღარ შეძლო — გამარჯვების გოლი ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმოთი ევროპელთა კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა შეაგდო.

იურგენ კლინსმანმა საამმატჩოდ, წინასთან შედარებით, ოთხი შეცვლა გააკეთა. ამათგან სამი — ოლივერ კანის, ანდრეას ჰინკელისა და ბასტიან შვაინსტაიგერის თამაში — მოსალოდნელიც იყო, კევინ კურანის მაგიერ ყმაწვილი ვოლფსბურგელი მაიკ ჰანკეს გამოჩენა კი მოულოდნელობა გახლდათ. საბოლოოდ, ჰანკემ დააღალატა კიდეც გუნდი, რაკიღა მეორე ტაიმის დასაწყისში მსაჯს თავი გააგდებინა. მაგრამ იქამდე, პირველ ტაიმში, მანვე ბურთი მექსიკელთა ხარიხას გაარტყა.

ანგარიში ლუკაშ პოდოლსკიმ გახსნა შვაინსტაიგერის პასით, გასათანაბრებლად კი მექსიკელებს ოდენ სამი წუთი დასჭირდათ: ზინიამ ისეთი სიზუსტის პასი მისცა ფონსეკას, სირცხვილი იქნებოდა, ვერ გაეტანა.

მაგრამ ზუსტად 60 წამის მერე გერმანია ისევ წინ გავიდა. ჰინკელი და პოდოლსკი კარგად მოემსახურნენ შვაინსტაიგერს, ვინაც ახლო მანძილიდან ზუსტად გაისროლა და ტაიმიც ასე დასრულდა.

შესვენებისას ოკეანისგაღმელთა მწვრთნელმა ლავოლპემ მეგოლე ფონსეკა ხუან როდრიგესით შეცვალა, ანუ ნახევარდაცვა უსაშველოდ გააძლიერა — მეორე ტაიმში ექვსი შუახაზელით ითამაშა და თამაშის განახლებიდან 13 წუთში ხარედ ბორგეტიმ გერმანელებს კიდევ ერთხელ გაუთანაბრა ხუთიოდ მეტრიდან დარტყმულით.

ამ გოლს კი, ჰანკეს ზემოთ ნახსენები გაძევება უძღოდა.

ეს გერმანიაა — კაცნაკლული დარჩა, გოლი გაუშვა და მაინც არ დანებდა — 79-ეზე შვაინსტაიგერის კუთხურს რობერტ ჰუთმა მესამე გოლი მიაყოლა და თითქოს მეტი რაღა უნდა მომხდარიყო. მაგრამ ღმერთი სამობითააო და, მექსიკამ მესამედაც გაათანაბრა ისევ ბორგეტის გოლით, რასაც დამატებითი ოცდაათწუთეული მოჰყვა. ამ ოცდაათიდან მეცხრეზე კი ბალაკმა ბურთი ცოცხალ კედელს გადაავლო და მეკარისგან მარცხენა კუთხეში ჩააჯინა.

ამ გოლს მოყოლებულ კიდევ რამდენიმე სახიფათო იერიშს ალარაფერი შეუცვლია.

AFP ლაიპციგიდან

**გერმანელთა ფორვარდმა მაიკ ჰანკემ ოსვალდო სანჩესს ვერ გაუტანა**

**კოტე კეკელია**

## ფინეთი
**ვეიკაუსლიგა XI ტური**

ალიანსი 1:0 ტამპერე
ლაჰტი 1:4 ტპ-47
იარო 0:0 ჰიკ
ინტერი 2:0 ტურკუ
მიუპა 2:1 მარიეჰამნი
როვანიემი 3:4 კუოპიო

## ნორვეგია
**ტიპლიგა მერვე ადგილისთვის**

ბოდიო გლიმტი 1:2 *მიოლდე*
*ბრანი* 3:2 ალესუნდი
*ჰამ კამი* 2:0 ბრინი
*ოდ გრენლანდი* 6:0 ალტა
*სტაბეკი* 4:2 ფრედრიკსტადი

## შვედეთი
**ალსვენსკა XII ტური**

გიოტებორგი 4:0 ჰალმსტადი

## ისლანდია
**პრემიერდივიზიონი IX ტური**

აკრანესი 2:0 ვესტმანაეიარი

ბადრი კეთილაძის ფოტო

# ვასილ გიგიაძე ილიჩევეცს უახლოვდება

ვასილ გიგიაძის სიმფეროპოლის „ტავრიადან“ წამოსვლის ამბავი გეხსომებათ. ქართველმა ფორვარდმა ყირიმელები უკრაინის ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზე გაიყვანა, ახლა კი უფრო სერიოზულ გუნდში სურს გადასვლა. ესეც რომ არა, ვასოს „ტავრიასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, მის გაგრძელებაზე კი უარს ამბობს.

ამას წინათ უკრაინელმა ჟურნალისტებმა დაწერეს, გიგიაძეს საბჭოეთის დროინდელი ფლაგმანი კლუბი ეპატიჟებაო, თუმცა სადღეისოდ ქართველის გადაბირების საუკეთესო შანსი მარიუპოლის „ილიჩევეცს“ აქვს, რომელიც, „ტავრიას“ მსგავსად, უკრაინის საშუალო ყალიბის გუნდია. „ილიჩევეცის“ გენერალური მენეჯერი იგორ ემეცი ამბობს, ვასოსთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, მაგრამ კონტრაქტამდე ჯერ შორიაო.

როგორც შევიტყვეთ, გიგიაძით ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მწვრთნელი ვალერი იარემჩენკოცაა დაინტერესებული, სადაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი ირაკლი მოდებაძე თამაშობს, ხოლო სულ ახლახან „მეტალურგის“ დუბლშემადგენლობიდან ნახევარმცველი არჩილ ბაჯელიძეც დააწინაურეს მთავარ გუნდში.

**ილია ნანოგაშვილი**

# ოსურ ფრონტზე ცვლილებებია

## ახალი მწვრთნელი და ახალი პრეზიდენტი

*ვლადიკავკაზის „ალანიაში“, სადაც ექვსი ქართველი ირიცხება, ცვლილებებია — ოსებს მწვრთნელიც შეეცვალათ და პრეზიდენტიც.*

*„ალანია“ თექვსმეტგუნდიან რუსულ პრემიერლიგაში ახლა მე-13 ადგილზეა და მიმდინარე სეზონში მხოლოდ არგავარდნისთვის თუ იბრძოლებს. ჩვენი რესპონდენტი კი გიორგი შაშიაშვილი გახლავთ, ვისაც პირველ რიგში „ ალანიას“ ახალ მწვრთნელზე, ცნობილ ებრაელ სპეციალისტ იცხაკ შუმზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...*

ანატოლი ბერეზოვსკის ფოტო

— შუმმა მხოლოდ ერთ ვარჯიშს უყურა, ფეხბურთელებს კი ჯერ არ გაგვცნობია. ჩვენ ახლა მეკარეების მწვრთნელი გვავარჯიშებს და მომდევნო შეხვედრაში „ტომთან“ ის გაიყვანს გუნდს. შუმი ამის მერე ჩაიბარებს „ალანიას“.

**— ახალ უფროსობაზე რას გვეტყვი?**

— „ალანიას“ ახალ პრეზიდენტ ტაკოევზე ამბობენ, ფული აქვს და ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებსო.

**— კონკრეტულად რა ფინანსური პრობლემები იყო „ალანიაში“?**

— ფეხბურთელებისთვის ორი თვის ხელფას-პრემიაა დასარიგებელი და კიდევ რაღაც თანხები. გვპირდებიან, ამ დღეებში ყველა დავალიანებას გავისტუმრებთო.

**— პრემიერლიგის პირველი წრე სადაცაა დასრულდება, შენ კი მხოლოდ ხუთ მატჩში ითამაშე...**

— როცა სეზონი იწყებოდა, გუნდს ბახვა თედეევი წვრთნიდა და სწორედ მისი სურვილით მოვედი „ალანიაში“, მაგრამ თედეევმა მითხრა, პრემიერლიგისთვის ჯერ მზად არ ხარო. როცა თედეევმა მათამაშა, მას უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი და მის მაგივრად ედგარ გესი მოვიდა. ახალი მწვრთნელი „ძველებს“ ენდობოდა, თუმც ბოლო ორ მატჩში სასტარტოში დამყენა და მცველთაგან საუკეთესო შეფასება მე მივიღე.

**— დაცვაში რომელ ფლანგზე თამაშობ „ალანიაში“?**

— ხან ცენტრში, ხან მარჯვენა ახლა განაპირა მცველები ტრავმირებულნი არიან და ალბათ მარჯვნივ ვითამაშებ.

**— ახალი პრეზიდენტი რა გეგმებით და დაპირებებით მოვიდა „ალანიაში“?**

— „ალანია“ არ უნდა გადარჩეს. ახალმა პრეზიდენტმა დიდი იმედები მოგვიტანა. ტაკოევს ეთქვამს, ვუნდს კარგი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ შედეგი არ აქვსო და ამიტომაც პირველ რიგში მწვრთნელის საკითხი წამოწია. „ალანიას“ ფეხზე დავაყენებ — ასეთია ტაკოევის დაპირება.

**დავით თავართქილაძე**

CHAMPIONS LEAGUE

# ჩემპიონთა ლიგა 2005–2006

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

CHAMPIONS LEAGUE

# ლევადიას ტრადიცია აფიქრებს

**ტარმო რუუტლი** — თბილისის „დინამოს“ მომავალი მეტოქის, ტალინის „ლევადიას“ მწვრთნელი. ამ კაცთან დაკავშირებას იმ დღესვე ვეცადეთ, როცა უეფაში კენჭისყრამ ჩვენებს მეტოქედ ესტონელები არგუნა, თუმც არაფერი გამოგვივიდა, რუუტლი შეგირდებთან ერთად ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავდა და ისვენებდა.

**გუშინწინ კი „ლევადია“ მოსკოვს ესტუმრა და „მასკვას“ ამხანაგურად ეთამაშა. ყველა მწვრთნელს გუნდის მზადების თავისებური გეგმა აქვს, მაგრამ მაინც უცნაურად მოგვეჩვენა ის ფაქტი, რომ „მასკვამ“ და „ლევადიამ“ მაშინ ითამაშეს, როცა ესტონეთშიც და რუსეთშიც ეროვნული ჩემპიონატები შუა გზაშია. გზაში იყო ტარმო რუუტლიც, როცა ჩვენ დავუკავშირდით...**

— მეტოქეზე სათქმელს მოკლედ ვიტყვი — „ლევადია“ დიდი წარსულის მქონე გუნდს უნდა ეთამაშოს და, რა თქმა უნდა, ძალიან გაგვიჭირდება.

**— ანუ „დინამო“ ძალიან ძლიერი გუნდია?**

— არ ვიცი, „დინამო“ სადღეისოდ რა დონის გუნდია, თუმც ალალად გეტყვით, რომ ამ წყვილში ფავორიტად „დინამოს“ ვთვლი.

**— ისე ლაპარაკობთ, თითქოს „ლევადია“ წასაგებად განწირულია...**

— არა, ალალად გითხარით, რომ ფავორიტად „დინამოს“ ვთვლი, თორემ ერთი და ორი ფავორიტი დამარცხებულა?! ჩვენც გვაქვს ჩვენი პლუსები, ვეცდებით, „დინამოს“ ტოლ-სწორად ვეთამაშოთ და მოვუგოთ. ტრადიცია ტრადიციად, „ლევადიასთვის“ კი „დინამოს“ დამარცხება დიდი წარმატება იქნება.

**— ქართული ფეხბურთი თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს...**

— ესტონეთის იმ ნაკრების მწვრთნელი ვიყავი, 1998 წელს თბილისში საქართველომ 3:1 რომ მოგვიგო. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ქართული ფეხბურთის სტილი იგივე დარჩა.

**— რას გულისხმობთ?**

— ტექნიკურ და მოხერხებულ ფეხბურთს. დღემდე ვერ ვხვდები, საქართველოს ნაკრები შესარჩევ მატჩებში უსუსურად რატომ თამაშობს, მიკვირს, საქართველოში უმაღლესი დონის ფეხბურთელები არიან და შედეგი რატომ არ აქვთ.

**— თბილისის „დინამოზე“ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— ფაქტობრივად, არანაირი. მხოლოდ ის ვიცი, რომ გუნდმა შარშან უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა და რაკი იქამდე მიაღწია, ესე იგი, სერიოზული გუნდია.

**— „დინამოს“ შარშანდელი თამაში ნანახი გაქვთ?**

— არა, ხომ გითხარით, „დინამოზე“ არაფერი ვიცი. ტრადიციები და სოლიდური პატრონი, აი, რაც ჩვენს მეტოქეზე კენჭისყრის შემდეგ მითხრეს.

**— იცით, რომ „მოსკვა“ — „ლევადიას“ მატჩს „დინამოს“ მწვრთნელი კახა ცხადაძე ესწრებოდა?**

— დიახ, ვიცი.

**— შეხვდით მას?**

— არა.

**— ჩავთვალოთ, რომ „დინამოს“ მწვრთნელის თვალწინ „ლევადიამ“ თამაში „დამალა“?**

— არა, ეს, უბრალოდ, ამხანაგური მატჩი იყო. რაღაც-რაღაცები მაინტერესებდა.

**— ისე, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, ესტონეთშიც და რუსეთშიც ეროვნული ჩემპიონატებია გახურებული და მაინცდამაინც ახლა რატომ ითამაშეთ ამხანაგური მატჩი?**

— ადრევე გვქონდა დაგეგმილი და იმიტომ. ამ მატჩისას განსაკუთრებული არაფერი იყო.

**კოტა ინასარიძე**

# ბოსკამპმა თბილისს დინამო გაუკეთა



ბადრი კეთილაძის ფოტო

## საქართველოს გირვანქა ინგლისი მირჩევნია

**იოჰან ბოსკამპი** „თბილისს“ არ გაწვრთნის — გუშინ ჰოლანდიელმა ინგლისის ჩემპიონატში აღზევებულ „სტოკ სიტისთან“ მოაწერა ხელი ორწლიან კონტრაქტს.

ვერ გეტყვით, რაში დასჭირდა გუშინწინ ჩვენთან სატელეფონო საუბრისას ბოსკამპს იმის თქმა, რომ თაბაშირი აღევს, ჯერ ის უნდა მოიხსნას და პარასკევს გადაწყვეტს, თუ რომელ გუნდს გაწვრთნის.

ერთი სიტყვით, ბოსკამპმა თბილისში ცხოვრებასა და „თბილისის“ მწვრთნელ-დირექტორობას ინგლისის ჩემპიონატში, პრემიერლიგის ქვედა ლიგაში საქმიანობა არჩია, ალბათ, უკეთესი პირობების გამო.

ეს იმას ნიშნავს, რომ „თბილისს“ გეგმები აერია. თუ კლუბში ბოსკამპი მივიდოდა, „თბილისი“, ცხადია, ფეხბურთელებში დიდ ფულს არ დახარჯავდა და აქცენტს ახალგაზრდებზე გააკეთებდა. ახლა კი „თბილისს“ ახალი პოლიტიკის შემუშავება და სხვა მწვრთნელის მოძებნა მოუწევს.

**დავით თავართქილაძე**

ბადრი კეთილაძის ფოტო

# ბორჯომი ივსება

## ქორიძე, დარსანია და სხვები

**„ბორჯომი“** უმაღლესი ლიგისთვის გამალებით ემზადება. სოსო ფრუიძის გუნდი, შეიძლება ითქვას, 90 პროცენტით განსხვავებული იქნება გასული სეზონისგან; ბევრი ფეხბურთელი წავიდა, მაგრამ არცთუ ცუდი შევსება მოდის. მეტიც, ფინანსების გათვალისწინებითაც კი, ბორჯომელებს ზედა ეშელონში ხელს ბევრი ვერ წამოარტყამს.

გუშინ გუნდს ორი „უცხოელი“ შეემატა — თავდამსხმელი გიორგი ქორიძე და ნახევარმცველი კოტე დარსანია. ქორიძე გასულ სეზონში კვიპროსულ „ოლიმპიაკოსში“ თამაშობდა, საქართველოში კი „ვიტ ჯორჯიასა“ და ბოლნისის „სიონში“ თამაშით გეხსომებათ. რაც შეეხება დარსანიას, იგი გასულ სეზონში ბულგარულ „ჩერნო მორეში“ ბურთაობდა. დარსანია 21 წლისაა, ბულგარეთში წასვლამდე ფოთის „კოლხეთსა“ და ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა.

ჯერჯერობით ქორიძე და დარსანია კლუბში ოფიციალურად არ გაფორმებულან, ისევე როგორც კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებიც „ბორჯომში“ გასინჯვაზე არიან.

სოსო ფრუიძემ გვითხრა, ბევრი ფეხბურთელის გადმოყვანას ვგეგმავთ, მაგრამ რეალურად ჯერ არც ერთზე არ მიმდგარა საქმეო. მათ შორისაა „ტორპედოში“ გადასული კობა შალამბერიძეც, რომელიც შესაძლოა, ქუთაისელთა საუეფასოასო მატჩების შემდეგ შეუერთდეს ბორჯომელებს. და კიდევ, ქართველებს ექსბათუმელი პაატა ჩოხელი შეემატათ.

აქვე ვთქვათ, რომ გუშინ „ბორჯომი“ თბილისში, „სინათლის“ სტადიონზე ამხანაგურად ეთამაშა „სიონს“. ფრუიძის გუნდმა 5:0 მოიგო: ქორიძემ დუბლი გაახერხა, თითო გოლი კი სუხიაშვილმა, ჩოხელმა და კრავეიშვილმა გაიტანეს. ისიც სათქმელია, რომ ბოლნისელებმა გასასინჯი ფეხბურთელები ათამაშეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# სად ითამაშებს იაში?



**მეორე** ბუნდესლიგაში გავარდნილმა „ფრაიბურგმა“ დამდეგი სეზონისთვის მზადება უქართველებოდ დაიწყო — ოთარ ხიზანეიშვილი ჯვარედინ იოგებზე გაკეთებული ოპერაციის გამო მოედანს მხოლოდ შემოდგომაზე დაუბრუნდება, საღსალამათ ალექსანდრე იაშვილს კი „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს, მაგრამ...

„ფრაიბურგმა“ წინა სეზონის ბუნდესლიგის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე „დაიბევა“ მეორე ბუნდესლიგა და იაშვილმაც მაშინ გვითხრა, მეორე ლიგაში აღარ ვითამაშებო. მოკლედ, იაშვილს ჯერ ახალი გუნდი არ მოუძებნია და „ფრაიბურგს“ დაგვიანებით, გუშინ შეუერთდა შეკრებაზე.

**ნიკა ჯორჯაძე**

# მუჯირი მხნედაა და მგლებზე იწევს

**გრაცის** „შტურმის“ ნახევარმცველმა დავით მუჯირმა უმძიმესი ექვსთვიანი პერიოდი გადაიტანა. ჩვენიანს საზარდულის ანთება ჰქონდა, რომელიც ხანგრძლივ მკურნალობას მოითხოვდა, მედიკოსებმა კი იჩქარეს და „მუმუს“ ოპერაცია გაუკეთეს. 27 წლის ქართველმა 8 ივნისს დაიწყო გუნდთან ერთად ვარჯიში და თამაშიც მოასწრო. როგორც იცით, „შტურმმა“ ინტერტოტოს თასს ანდორის წყალწაღებული „რეინჯერსი“ გამოთიშა, მუჯირი კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე.

„დღესაც ვერა ვარ ისეთ ჯანზე, როგორც მინდა. ვარჯიშებზე სრულფასოვნად არ მტვირთავენ. თუ მძიმე დატვირთვებია, მწვრთნელი პეტროვიჩი ინდივიდუალურად ვარჯიშს მავალებს“.

დაიომ ისიც გვითხრა, ანდორის „რეინჯერსი“ ძალიან სუსტი მეტოქე იყო, მაგრამ ჩემი თამაშით კმაყოფილი დავრჩი, მწვრთნელიც მემადლიერებაო.

ზეგ გრაცელები ინტერტოტოს თასის, სამეორეეტაპოდ გერმანულ „ვოლფსბურგს“ ესტუმრებიან. მუჯირი, ალბათ, „მგლებთანაც“ ძირითადში იქნება.

„შევეცდები, ძლიერ გუნდთანაც გამოვიჩინო თავი. ვოლფსბურგელები გერმანიაშიც კი სახელიანები არიან და, ცხადია, „შტურმი“ მათთან ფავორიტი ვერ იქნება. ამიტომაც ეს ეტაპი თუ გავიარეთ, მერე მადა მოგვეცემა“.

ცხადია, ტრავმირებულ ფეხბურთელს გუნდის ხელმძღვანელობა და მწვრთნელიც ზოგჯერ ეჭვის თვალით უყურებენ, თუმც მუჯირი ამას გამორიცხავს, მათგან სითბოს მეტი არაფერი მიგრძვნიაო. „გრაცში ახალი მისული არ ვარ, ავტორიტეტი მოპოვებული მაქვს. ეჭვი რომ ყოფილიყო, ექვსი თვის უთამაშებელს პირველივე მატჩში ძირითადში არ დამაყენებდნენ“.

„მუმუს“ „შტურმის“ მიზნებზეც შევეკითხეთ. არნოლდ შვარცენეგერის ქალაქის გუნდი, ალბათ, ისევ ავსტრიული მაქსბუნდესლიგის ცხრილის შუაში იტრიალებს. მუჯირი ამბობს, ჩვენი სამეულში მოხვედრაც სენსაცია იქნებაო...

**ილია ნანოგაშვილი**

# ხიზანიშვილი რეინჯერსში დარჩა

**ზურაბ ხიზანიშვილის** „გლაზგო რეინჯერსიდან“ გელზენკირხენის „შალკეში“ შესაძლო ტრანსფერს ძვრა არ უნჩანს — „შალკედან“ და ხიზანიშვილის აგენტ ივან ბენეშისგან ახალი არაფერი ისმის და ჩვენც ზურას დავუკავშირდით იტალიაში.

— 4 ივლისს „რეინჯერსს“ სეზონისწინა შეკრება ეწყება და მეც გუნდთან ერთად ვიქნები. ჩემი „შალკეში“ გადასვლა გამორიცხა ამ ეტაპზეც და საერთოდაც, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია — გვითხრა გუშინ ხიზანიშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

ფეხბურთის კლუბი ამერი თანაგრძნობას უცხადებს
ალექსანდრე და გიორგი კაიდარაშვილებს
მამის
გია კაიდარაშვილის
გარდაცვალების გამო

სარბიელელები ვუსამძიმრებთ „ამერის“
ფეხბურთელს ალექსანდრე კაიდარაშვილს
მამის
გია კაიდარაშვილის
გარდაცვალების გამო

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდები | მოვიდნენ | წავიდნენ | სეზონისწინა მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** თბილისი | ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), ქემოკლიძე (თბილისი), *აკობია (კოლხეთი)* | კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ჭელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (ანართოსისი, კვიპროსი), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ჭიჭვეიშვილი (?) | ფორტცაინი (გერმანია) 5:1, ჰალბრონი (გერმანია) 5:0, რადოსფელდი (გერმანია) 8:1 |
| **ტორპედო** ქუთაისი | კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), კვეტენაძე (გუსარი, აზერბაიჯანი), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი), *ძოძუაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი)* | ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ზესტაფონი), რაქვიაშვილი (ბორჯომი), ბაქრაძე (ბორჯომი), მემარნიშვილი (ბორჯომი), *მერლანი (?), ბოლქვაძე (?),* | |
| **თბილისი** თბილისი | *იოჰან ბოსკამპი (მთავარი მწვრთნელი)* | გრიშიკაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), *ლუის ცაკარიასი (მთავარი მწვრთნელი), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), შიქიაშვილი (?), გეწაძე (?), მესხი (?)* | |
| **ლოკომოტივი** თბილისი | შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო), ფურთუხია (ზესტაფონი), გიზო შენგელია (კოლხეთი), სირაძე (ტრირი, გერმანია) | ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მძინარიშვილი (კახეთი), *გ. ონიანი (სკონტო, ლატვია)* | სიონი 6:1 |
| **ზესტაფონი** ზესტაფონი | კოშკაძე (ტორპედო), გუშარაშვილი (ბათუმი), *გ. ფოფხაძე (თბილისი), შ. ჯიქია (თბილისი), ფიფია (თბილისი)* | გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), ფურთუხია (ლოკომოტივი), *ზირაქიშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?), ბესარაშვილი (?)* | |
| **ვიტ ჯორჯია** თბილისი | მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი) | მერებაშვილი (სიონი), ინნკირველი (?, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?) | ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2, 0:1 |
| **დინამო** ბათუმი | *წუწუნავა (ტორპედო)* | თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), დარჩიძე (?), ბეგლარ თედორაძე (?), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სოლოლაშვილი (?), ჩოხელი (?), ხუჯაძე (?), ხომერიკი (?) | |
| **სიონი** ბოლნისი | ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ხანიშვილი (დილა), კ. ხანიშვილი (დილა), კუკულაძე (გურია), დონდოლაძე (სპარტაკი) | რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი), დათვაძე (?), ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), დოლიძე (?) | ლოკომოტივი 16 |
| **კოლხეთი** ფოთი | | კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), აკობია (დინამო), ბათიაშვილი (?) | |
| **დილა** გორი | | თ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი), ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი) | |
| **ამერი** თბილისი | ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი) | ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?) | |
| **ბორჯომი** ბორჯომი | **მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი),** რაქვიაშვილი (ტორპედო), ბაქრაძე (ტორპედო), ჩიგოშვილი (?), ქორიძე (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი), *ძოძუაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), კ. შალამბერიძე (დინამო), მესხი (თბილისი), პაპიძე (უგუნდო), გეწაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო)* | *კვეკვესკირი (სოხუმი), ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუშკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), წივწივაძე (?)* | |
| **დინამო** სოხუმი | **ურჭოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი),** რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო), სიჭინავა (თურანი, აზერბაიჯანი)* | | |
| **კახეთი** თელავი | **კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი),** მძინარიშვილი (ლოკომოტივი), | | |
| **ცხინვალი** ცხინვალი | მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), ა. ლაბაძე (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?) | | |
| **სპარტაკი** თბილისი | | ტატანაშვილი (ამერი), ლონდოლაძე (სიონი) | |

**მუქი შრიფტით: გადაწყვეტილი ტრანსფერი, ღია შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი, დახრილი შრიფტით: საეჭვო ტრანსფერი**

# ჯერარდის ხელმოწერა

## აგენტი და მარშალი მოილაპარაკებენ

სტივენ ჯერარდმა ჯერ მხოლოდ ავტოგრაფები დაარიგა

„ლივერპულის“ კაპიტანი „ენფილდზე“ დაბრუნდა და იმწუთას კალამს მოჰკიდა ხელი, ოლონდ ფაქსიმილე ახალი კონტრაქტის ქვეშ კი არ დასვა, შემოხვეულ ფანებს ავტოგრაფები დაურიგა. კონტრაქტის ფრონტზე კი სტივენ ჯერარდმა „ლივერპულთან“ ახალი პირობები უნდა შეათანხმოს — კაპიტანი შეფებს მოლაპარაკებებს უმართავს, უფრო ზუსტად კი, მაგიდას ფეხბურთელის მხრიდან აგენტი სტრუან მარშალი, ხოლო კლუბის მხრიდან აღმასრულებელი შეფი რიკ პერი მიუჯდებიან.

მიმდინარე ხალშეკრულების თანახმად, 25 წლის ჯერარდმა „ენფილდზე“ კიდევ ორი წელიწადი უნდა დაჰყოს, მაგრამ არ არის გამორიცხული, მხარეები გრძელვადიან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, რაც ნახევარმცველს კვირაში 80 000 გირვანქას მოუტანს.

შეგახსენებთ, რომ „ლივერპულის“ მწვრთნელი რაფა ბენიტესი ჯერარდის თავისთან დატოვებით ძალიან მოწადინებულია და იმავდროულად, ერთი სული აქვს, მისი ამბავი მალე გაირკვეს, რათა საქმეს მთელი სერიოზულობითა და დატვირთვით შეუდგეს.

„სეზონის დაწყებამდე უფრო მეტი ვარჯიშია საჭირო და საერთოდ, ჩემპიონატისთვის მზადების კულტურა „ლივერპულში“ შესაცვლელია. ამიტომ, თუ ჩემი გეგმები განვახორციელე, ახალ სეზონში უფრო ძლიერ და ფიზიკურად გამოწრთობილ „ლივერპულს“ გაჩვენებთ“.

**ბაბუნა კედია**

# კეთილი ვარსკვლავი წავიდა

**იტალიური** ფეხბურთის გამორჩეულმა ფიგურამ, დიდმა სარდინიელმა ვარსკვლავმა ჯანფრანკო ძოლამ გუშინ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თამაშს თავს ანებებს. „კალიარის“ აწ უკვე ყოფილი ფორვარდი შემდეგ კვირაში 39 წლისა ხდება.

„სეზონი მართალია რამდენიმე კვირის წინ დამთავრდა, მაგრამ გონს მოსაგებად და გადაწყვეტილების მისაღებად ღრო მჭირდებოდა — განაცხადა ძოლამ — ვადაწყვეტილება კი იოლად მისაღები ნამდვილად არ იყო, თუმცა ვგრძნობ, რომ ბოლო წლებში ბევრი რამ ოვალსა და ხელს შუა გამეპარა და ახლა მინდა, იმ საკითხებს მიკუძღვნა ჩემი დრო“.

ჯანფრანკო ძოლა ფეხბურთის ისტორიაში შევა, როგორც საგანგებო ნიჭით დაჯილდოვებული მოთამაშე, რომელიც იმავდროულად ძალიან პატიოსანი და თავაზიანი პიროვნებაა. მან კარიერა „ნორეზესა“ და „ტორესში“ დაიწყო, საიდანაც „ნაპოლიში“ გადაბარგდა, თუმცა იქ იმ წლებში დიეგო მარადონა გრგვინავდა და შესაბამისად, ძოლა დაიჩრდილა.

ჯანფრანკო „სტადიო სან პაოლოდან“ 1993 წელს „პარმაში“ გადავიდა, 1996 წლიდან კი კარიერა „ჩელსიში“ გააგრძელა.

„სტემფორდ ბრიჯზე“ იტალიელი კერპად იქცა. მას

ჯანფრანკო ძოლა ფეხბურთიდან ვალმოხდილი წავიდა

მეტსახელად „ჯადოსნური ყუთი“ შეარქვეს. მან ლონდონში შვიდი წელიწადი გაატარა, ხოლო 2003-ში, მშობლიურ სარდინიაზე, „კალიარიში“ დაბრუნდა და გუნდი სერია A-ში გადაიყვანა.

**ბაბუნა კედია**

# ალარც კრესპო, ალარც ჯილარდინო

## მაშ, ვინ? ვან ნისტელროიო

რუუდ ვან ნისტელროი შესაძლოა, „მილანში“ გადავიდეს

**დღეს** „ჩელსიდან“ „მილანში“ განათხოვრებულ ერნან კრესპოს იტალიურ კლუბში ყოფნას ვადა ეწურება. „მილანმა“ არგენტინელი ან უნდა გამოისყიდოს, ანაც ლონდონელებს უკანვე დაუბრუნოს.

შუა ივნისში, თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ერნან კრესპო „შავ-წითლებისა“ გახდებოდა, რადგან „ჩელსი“ სხვა ფორვარდის ყიდვას აპირებდა. რომან აბრამოვიჩი ფულს არ ინანებს, მაგრამ ჯერ სამუელ ეტოოს, მერე ფერნანდო ტორესის, ანდრეი შევჩენკოს ან დავიდ ტრეზეგეს შეძენა ვერ მოახერხა.

რუს მილიარდელს ყველა კლუბმა ფულზე ხელი აუკრა. გარდა ამისა, მატეა კეჟმანი „ჩელსიდან“ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავიდა და ჟოზე მაურინიუს ეულად დარჩენილი დიდი დროგბას მეწყვილე სჭირდება.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ თუ მაურინიუმ ახალი ფორვარდი ვერ დაიმატა, მაშინ კრესპოს ლონდონში ჩასვლა მოუწევს, მას კი ძალიან სურდა მილანში დარჩენა.

თავის მხრივ, კარლო ანჩელოტიც კმაყოფილი იყო არგენტინელის თამაშით. იტალიელ მწვრთნელს კრესპოს დატოვებაც სურდა და ალბერტო ჯილარდინოს გადაბირებაც. ახლა კი ალბათ ისე გამოვა, რომ ერთ-ერთ უნდა შეელიოს. ანუ „მილანს“ ხუთი ფორვარდი აღარ მოუგროვდება, რასაც ანჩელოტი დაჟინებით ითხოვდა.

იტალიური მედიის ცნობით, „მილანმა“ კრესპოს გაყიდვის შემთხვევაში, ეგებ რუუდ ვან ნისტელროი შეიძინოს, რომლის აგენტიც ჩასულა უკვე მილანში და უსაუბრია. ინგლისელების ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ვან ნისტელროის 10 მილიონ ევროდ დაუთმობს იტალიურ კლუბს და ფულს იონ დალ ტომასონსაც გააყოლებს, რომლის ხილვაც თავის გუნდში ალექს ფერგიუსონს სდომებია.

**ვაჟა ხუციშვილი**

*1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა, გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავმა ვოლფგანგ ოვერატმა საკლუბო კარიერა „კიოლნში“ გაატარა. 2003-04 წლების სეზონის მერე, როცა „კიოლნი“ ბუნდესლიგიდან გავარდა, კლუბის პრეზიდენტის სავარძელი ხნორედ ოვერატს შესთავაზეს, მასაც დიდხანს არ უფიქრია, მშობლიური გუნდის პირველობას დათანხმდა და გაფუჭებული საქმის გამოსწორებას შეუდგა. ერთგულებამ და მონდომებამ თავისი გაიტანა და „კიოლნი“ ერთწლიანი განშორების მერე კვლავ გერმანული ფეხბურთის ელიტას დაუბრუნდა, გუნდის ლიდერი და საუკეთესო მეგოლე ლუკაშ პოდოლსკი კი იურგენ კლინსმანს თვალში მოუვიდა და ბუნდესნაკრებში უხმო. ქვემორე ინტერვიუში ვოლფგანგ ოვერატი „კიოლნის“ მომავალზე, ბუნდესნაკრებსა და გაისად, გერმანიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე საუბრობს*

# ოვერატის ოთხწლიანი კიოლნი

## რვა ბალაკიდან ერთ ბალაკამდე



ვოლფგანგ ოვერატი

**— როგორ შეაფასებდით თქვენს პირველ სამუშაო წელს „კიოლნის“ პრეზიდენტის თანამდებობაზე?**

— მთავარი ამოცანა შევასრულეთ, პირველ ბუნდესლიგაში დავბრუნდით, თუმც გუნდის სათამაშო ხარისხით უკმაყოფილო ვარ. ამ მხრივ ბევრი მუშაობა გვმართებს. როცა კლუბის პრეზიდენტი გავხდი, ოთხწლიანი პროგრამა შევიმუშავე. პირველი მიზანი მიღწეულია — „კიოლნი“ გერმანული ფეხბურთის ელიტაშია. ახალ სეზონში ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას ვეცდებით. მერე ზუთეულისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რის შემდეგაც ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაზეც გვექნება პრეტენზია.

**— „კიოლნის“ საუკეთესო მოთამაშე ლუკაშ პოდოლსკი გერმანიის ნაკრებში იმკვიდრებს ადგილს, მან კონფედერაციათა თასის გათამაშებაშიც გამოიჩინა თავი...**

— პოდოლსკის უდიდესი პოტენციალი და ნაღდი სპორტსმენის ხასიათი აქვს. ის მთელი კიოლნის კერპია, ჩვენი გუნდისთვის კი შეუცვლელი მოთამაშეა. ლუკაში უნიჭიერესი ფორვარდია და თუ არ დაიზარებს, ის მსოფლიოშიც ერთ-ერთი საუკეთესო იქნება.

**— ახლანდელ გერმანიის ნაკრებზე გკითხავთ, მოგწონთ იურგენ კლინსმანის გუნდი?**

— ჩვენ ყოველთვის ვიყავით მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებთა შორის. ამ ბოლო ხანს პოზიციები თითქოს დავთმეთ, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ნაციონალმანშაფტში თამაბათა ცვლის პროცესი მიდის. იურგენ კლინსმანი ამ საქმეს რიგიანად უძღვება და მჯერა, რომ გაისად, მუნდიალზე ჩვენ სიტყვას ვიტყვით. დღევანდელი ახალგაზრდული გუნდისგან მომავალ წელს ისეთ ნაკრებს ვიხილავთ, რომელსაც ბრაზილიის, არგენტინის, ჰოლანდიისა და ინგლისის ნაკრებთა წინააღმდეგ ტოლ-სწორად შეეძლებათ პაექრობა.

**— თქვენ 1974 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეთ, რა შეიცვალა ფეხბურთში მას შემდეგ?**

— ძალიან ბევრი. შეიცვალა ფეხბურთთან დამოკიდებულებაც, რომ არაფერი ვთქვათ, თავად თამაშის ხასიათზე. დღეს ფეხბურთი ძალისმიერი გახდა. 1974 წელს გავიხსენებ. მაშინ გერმანიის ნაკრებში... რვა ბალაკი თამაშობდა, დღეს მხოლოდ ერთი ბალაკია. ამით იმის თქმა მსურს, რომ მაშინდელ გერმანიის ნაკრებში ვარსკვლავები თამაშობდნენ, ახლანდელში კი ასეთი ფეხბურთელების ნაკლებობაა. თუმც კიდევ ერთხელ გეტყვით, კლინსმანის გუნდი იზრდება და მუნდიალზე მსოფლიოს თასისთვის ბრძოლა შეეძლება.

ვოლფგანგ ოვერატი მეტოქეებს იოლად უსწორდებოდა



ინგლისში, სვენ-გორან ერიკსონის ნაკრებიდან წასვლაზეც ალაპარაკდნენ

# თუ მოუნდება, წავა

## სვენის და გრიპის უფლება

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელ სვენ-გორან ერიკსონს და მის თანაშემწე ტორდ გრიპს სამსახურიდან წასვლა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე შეუძლიათ — ასეთია ინგლისის ფეხბურთის ასოციაციიდან გამოსული ახალი ამბავი.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის მარტში, ინგლისის ნაკრების შვედმა თავკაცმა ასოციაციასთან ახალ ხელშეკრულებას 2008 წლამდე მოაწერა ხელი, რითაც შეაჩერა იმხანად საშინლად აგორებული ჭორი, თითქოს „ჩელსიში" გადადიოდა — მაშინ ლონდონელებს ჯოზე მაურინიუ ჯერ კიდევ არ ედგათ სათავეში, მაგრამ ახლა, ტორდ გრიპმა განაცხადა, რომ თუ მათი სურვილი იქნება, გაისად, მუნდიალის შემდეგ სამუშაოდან წავლენ.

„დიახ, კონტრაქტის თანახმად, ჩვენ ასეთი უფლება გვაქვს, მაგრამ თუკი მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრები კარგად გამოვა, ცხადია, ამ უფლებით არ ვისარგებლებთ" — თქვა შვედის ასისტენტმა.

**ბაბუნა კედია**

# საბრალო მისის დევისი

## ერთი შარშანდელი ინტერვიუს გამოძახილი





ფერია ელამმა დედვიდ დევისი სასამართლოში დააბეზღა

**სკანდალურად** ცნობილი პირმშვენიერი ქალბატონი ფერია ელამი, რომელიც ორიოდ წლის წინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში მდიენად მუშაობდა და, როგორც მაშინ გაირკვა ორ თანამშრომელ მამაკაცთან პარალელური რომანი ჰქონდა გაჩაღებული, კიდევ ერთხელ წარსდგა სასამართლოს წინაშე. ამჯერად მას ბრიტანული მართლმსაჯულების მოტყუებაში სდებენ ბრალს. კერძოდ, ამასწინათ მის ელამმა განაცხადა, რომ ხსენებული თანამშრომლების, აღმასრულებელი შეფის მარკ პელიოსისა და ნაკრების მწვრთნელის, სვენ-გორან ერიკსონის გარდა, მის ლოგინში ჩაგორებას მესამე პიროვნება, ორგანიზაციის თავმჯდომარე დევიდ დევისიც ცდილობდა, მაგრამ ეტყობა, ეს მისი ფანტაზიის ნაყოფი უფრო იყო, რადგან ფეხბურთის ასოციაციის ბარისტერმა ჯეფრი ბეიკონმა მოიტანა საგაზეთო ინტერვიუ, სადაც ქალბატონი ელამი საპირისპიროს ბრძანებს.

მოკლედ, შეუსაბამობებია. სასამართლოზე 39 წლის ქალმა თქვა, რომ ბატონი დევისი მისთვის უსიამოვნოდ აქტიურობდა, ერთი წლის წინანდელ ინტერვიუში კი კითხვაზე — „მაშ მისტერ დევისი არ გეძლეოდათ?" — მიუგო, ასეთი არაფერი ყოფილაო. სწორედ ამის გამო მიმართა ბარისტერმა ბეიკონმა ფერია ელამს: „ყველაფერი, რაც თქვენ ფიცის ქვეშ ბრძანეთ, ტყუილი იყო."

და რა პასუხი გასცა ამაზე მის ელამმა? მან განაცხადა, რომ შარშანდელ ინტერვიუში მისტერ დევისის მეუღლე დაინდო და მწარე სიმართლე დამალა.

„როგორც შარშანდელ, ასევე წლევანდელ ყოველ სიტყვაზე პასუხისმგებელი გახლავართ" — თქვა ფეხბურთის ასოციაციის თანამშრომელთა ოხვრისა და ხვნეშის საგანმა.

„მაშ, თქვენ გაზეთი მოატყუეთ?" — ჰკითხა ბატონმა ბეიკონმა.

„ტყუილი არ მითქვამს" — იყო პასუხი.

საქმის განხილვა ერთი თვით შეწყდა.

**ბაბუნა კედია**

# მითხარ, სად გეძებო...

## ფული ფულია, მაგრამ ჩელსი ბარსელონაა?

*მაშ ასე, „ჩელსის" აურაცხელი ფული აქვს, მაგრამ ჯოზე მაურინიუს დიდი მოწადინების მიუხედავად, თავდამსხმელს მაინც ვერ ყიდულობს. რა ხდება? ის კი არა და, იმასაც ამბობენ, თითქოს ლონდონელები „მილანს", ერთი წლის წინ მიქირავებულ ერნან კრესპოს საბოლოოდ აღარ უთმობენ და არგენტინელის დაბრუნებას ითხოვენ, რაც, ფაქტობრივად, მათი მხრიდან კაპიტულაციაა*



რომან აბრამოვიჩს ფული აქვს, მაგრამ ჯოზე მაურინიუ თავდამსხმელებს ვერ ყიდულობს

**ერთი სიტყვით**, რომან აბრამოვიჩის ფულმა „ჩელსის" საოცნებო მწვრთნელი უყიდა, „მანჩესტერ იუნაიტედიდან" საოცნებო აღმასრულებელი შეფი გადმოუყვანა, „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" საუკეთესო სპორტული დირექტორი მიჰგვარა, ფეხბურთელ ვარსკვლავთა მთელ გუნდზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საბოლოოდ და ამ ყველაფრის შედეგად, გუნდი ინგლისის ჩემპიონი გახადა, მაგრამ აი, სწორედ, რომ ჩემპიონისა და მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის რანგში, „ჩელსი" თავდამსხმელს ვერ ყიდულობს.

მოდით, იმ ექვსეულის სია ვნახოთ, რომლიდან ერთ-ერთის შეძენაც ლონდონელებს უნდოდათ, მაგრამ ვერ შეიძინეს: ადრიანო „ინტერიდან", სამუელ ეტოო „ბარსელონადან", ტიერი ანრი „არსენალიდან", ანდრეი შევჩენკო „მილანიდან", დავიდ ტრეზეგე „იუვენტუსიდან" და ფერნანდო ტორესი მადრიდის „ატლეტიკოდან". დაზუსტებული ცნობა არ გვაქვს, მაგრამ ამბობენ და სიმართლისგან ეს ნათქვამი შორსაც არ უნდა იყოს, რომ ამ ფეხბურთელთა სანაცვლოდ შეთავაზებული თანხა ჯამში 335 მილიონი გირვანქა სტერლინგია. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ „ჩელსის" არ უძუნწია.

მაშ, რატომ ვერ იყიდა სასურველი თავდამსხმელი?

სამუელ ეტოოს უარის მიზეზებს ესპანელი ჟურნალისტი ანდი მიტენი ეძებს. **BBC**-სთან საუბარში მან განაცხადა:

„ეტოოს გასულ სეზონში რამდენიმე ინტერვიუ ჩამოვართვი და შემიძლია ვთქვა, რომ ვიცნობ. დაბეჯითებით შემიძლია ისიც ვთქვა, რომ მას და მის მეუღლეს ბარსელონაში ცხოვრება უყვართ. ეს ქალაქი საცხოვრებლად მართლაც ჩინებულია, მით უფრო კამერუნელისთვის, რომლის პირველმა სეზონმაც „კამპ ნოუზე" დიდი წარმატებით ჩაიარა. ეტოოს აქაური საზოგადოება ეთაყვანება, ის ევროპის უდიდეს სტადიონზე, ყოველ ტურში ყველაზე მეტი მაყურებლის წინაშე თამაშობს. გარდა ამისა, ბარსელონაში ლონდონზე უკეთესი ამინდია და ეს ყველაფერი ჯამში იძლევა იმ ფეხბურთსზედა გარემოს, რომელიც თავდამსხმელს არ ეთმობა".

რაც შეეხება ამინდს, „ჩელსის" ფანებს ალბათ ჰგონიათ, რომ გასულ სეზონში, „სტემფორდ ბრიჯზე" მსოფლიოში საუკეთესო ამინდი იდგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მხოლოდ ბრმა თუ უარყოფს, რომ ამ ჩინებულ ამინდს ერთი კარგი თავდამსხმელი კიდევ უფრო გაამზიანებდა. გავიხსენოთ, გასულ სეზონში ლონდონელების საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ ფრენკ ლამპარდი, დიდიე დროგბამ და მატეა კეჟმანმა კი მოლოდინი ვერ გაამართლეს. სხვათაშორის, კეჟმანის შესახებ.... ეს ფორვარდი, მადრიდის „ატლეტიკოში" გუშინწინ გადავიდა, ამ ტრანსფერიან დაკავშირებით დღევანდელ „სარბიელში" ცალკე წერილსაც იხილავთ და ამიტომ ახლა მასზე აქ აღარ შევჩერდებით. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინგლისელები მის სანაცვლოდ ფერნანდო ტორესს გადაიყვანენ. არამც და არამც...

სამაგიეროდ, მაურინიუს ბილბაოს „ატლეტიკმა" დიდი წინააღმდეგობის გარეშე მიჰყიდა მარცხენა მცველი ასიერ დელ ორნო. კიდევ, „ჩელსის" მწვრთნელი იმედოვნებს, რომ „ლიონიდან" შემტევ ნახევარმცველ მიკაელ ესიენს გადაიბირებს, თუმცა ფრანგები ჯერჯერობით ჯიუტობენ და ამბობენ, ეგ ბიჭი ჩვენთვის გვინდაო.

თუმცა, ისევ თავდამსხმელებს დაკუბრუნდებთ და გამოვთქვათ ეჭვი, რომ საქმე მხოლოდ ლონდონურ ამინდში არ უნდა იყოს. მაგალითად, პრობლემის ერთ ერთი მიზეზი, სრულიად შესაძლებელია, ის გახლდეთ, რომ ფეხბურთელები, რომლებიც ყიდვაც მაურინიუს მოიწადინა, ისედაც დიდ კლუბებში გამოდიან. დაგვეთანხმებით, ჩალტ პარკერის „ჩარლტონიდან" და არიჯ რობენის „პსვ ეინდჰოვენიდან" წამოყვანა ერთია, ხოლო ეტოოს „ბარსელონადან" გამოტყუება მეორე ფული? კი ბატონო, ფული ფულია, მაგრამ ნუ დავიიწყებთ, რომ „ჩელსი" სახელითა და ქარიზმით, ევროპის ნამდვილ გოლიათებთან ახლოსაც ვერ მავა.

მეორე მიზეზი: „ჩელსისთვის" სასურველ ფეხბურთელებს მათი კლუბები კარ ელევიან. ისევ ხემოხსენებული ესპანელი ჟურნალისტი ანდი მიტენი:

„ისეთი კლუბები, როგორებიც „იუვენტუსი" და „ბარსელონა" გახლავან, თავიან ვარსკვლავებს არ გაყიდიან და მითუმეტეს, არ მიჰყიდიან კლუბს, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მათი კონკურენტი აქნება".

ჯოზე მაურინიუ: „ჩვენთვის დიდი თავდამსხმელის ყიდვა ძნელია, რადგან უკვე ძლიერები ვართ და კონკურენტები ჩვენს მეტად გაძლიერებას ხელს აღარ შეუწყობენ"

თუმცა, ზაფხული ჯერ არ გასულა და სატრანსფერო ფოკუსებიც, წესითა და რიგით წინ გველის. ამიტომაც დასკვნების გამოტანას ნუ ვიჩქარებთ.

**ბაბუნა კედია**

ერნან კრესპო სავარაუდოდ, ისევ „ჩელსიში" დაბრუნდება

მატეა კეჟმანმა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა

# კეჟმანი მადრიდში პრობლემებით ჩავიდა

**მადრიდის** „ატლეტიკოს“ ახალი შენაძენი 26 წლის სერბი თავდამსხმელი მატეა კეჟმანი გახლავთ, ლონდონური „ჩელსის“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი. კეჟმანი მადრიდში გუშინ თავის აგენტ ვლადო ლემეიჩთან ერთად ჩავიდა კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ატლეტიკოში“ გადმოსვლით ბედნიერი ვარ. ესპანური ლიგა ყოველთვის მიტაცებდა. მჯერა, რომ ამ დიდი წარსულის მქონე კლუბთან პრობლემები არ შემექმნება“ — განუცხადა კეჟმანმა გაზეთ „ასის“ ჟურნალისტს.

„ატლეტიკოს“ სერბის ტრანსფერი 9 მილიონი ევრო დაუჯდა.

„იგი შესანიშნავი ფეხბურთელია ჩვენ მას დიდი ხანი ვაკვირდებოდით. მინდა, „ატლეტიკოს“ გულშემატკივრებს ვუთხრა, რომ ნუ ინერვიულებენ, მატეა კეჟმანი საკმაოდ მაღალი კლასის ფორვარდია“ — ამბობს ტონი მუნიოსი, „ატლეტიკოს“ სპორტული დირექტორი.

**ლადო ხომერიკი**

# ჩიკის ესეემესი

## ლეო მესი 150 მილიონი ღირს

**ახალგაზრდა** არგენტინელი ლეო მესი თავის ამჟამინდელ გუნდთან, კატალონიურ „ბარსელონასთან“ თანამშრომლობას 2010 წლამდე გაგრძელებს. ხოლო ვისაც მისი გადაბირება მოუნდება, მაშინ „ბარსელონასთვის“, არც მეტი, არც ნაკლები, 150 მილიონი ევრო ექნება გადასახდელი. როგორია? 20 წლის ბიჭი და ამჩელა ფული...

„ძასთან კონტრაქტის განახლება ადრეც გვინდოდა. იგი ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია“ — განუცხადა ესპანურ „მარკას“ ჩიკი ბეგირისტაინმა, „ბარსელონას“ სპორტულმა დირექტორმა, რომელმაც ლეო მესის ახალი ხელშეკრულება უტრუხტში აახლა (20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბიჭი არგენტინის ნაკრების ღირსებას იცავს).

„ამ ფეხბურთელს ყველანაირად ვენდობით. მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე ბევრი არც გვიყოყმანია“ — დასძენს მისი თამაშით კიდევ ერთხელ მოხიბლული ჩიკი ბეგირისტაინი.

შეგახსენებთ, ლეო მესი „ბარსელონას“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია, ბავშვთა გუნდიდან დიდ გუნდში, გასული სეზონის დასაწყისში გადაიყვანა ფრანკ რიკარდმა და ყმაწვილსაც მწვრთნელზე ურიგო შთაბეჭდილება როდი დაუტოვებია.

**ლადო ხომერიკი**

# ინტერმა სოლარი აისრულა



სანტიაგო სოლარი

**სანტიაგო სოლარი** ამიერიდან მილანის „ინტერში“ ითამაშებს. არგენტინული მედიის ცნობით, მადრიდის „რეალის“ აწ უკვე ყოფილმა ნახევარმცველმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სოლარი, რომელიც ახლა შვებულებაშია, არდადაგებიდან 9 ივლისს დაბრუნდება, „ინტერიც“ ახალწვეულს სწორედ მაშინ წარადგენს. არგენტინელი წელიწადში ხელფასის სახით 2 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო მილანელებს მისი ტრანსფერი 12 მილიონი ევრო დაუჯდათ.

დიდი ხანი იყო მოქცეული სანტიაგო სოლარი „ინტერის“ თვალთახედვის არეალში. იგი „სან სიროზე“ ჯერ კიდევ 2002 წელს უნდა გადასულიყო, როცა „რეალს“, „ინტერიდან“ რონალდოს გადაყვანის სანაცვლოდ, პლუს 8 მილიონი ევრო უნდა გადაეხადა, მაგრამ სოლარიმ მაშინ მადრიდში დარჩენა არჩია.

ერთი სიტყვით, მასიმო მორატიმ, „ინტერის“ მფლობელმა ახალი სეზონისთვის პირველი სერიოზული ტრანსფერი განახორციელა. მეორე, ვისაც „რეალიდან“ ასევე „სან სიროზე“ უწინასწარმეტყველებენ გადასვლას, სოლარის თანამემამულეა — 25 წლის მცველი ვალტერ სამუელი.

**ლადო ხომერიკი**

FIFA NETHERLANDS 2005

## მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

ჰოლანდია 10 ივნისი — 2 ივლისი

# სიასიას სიზმარი

## რას გვატყუებს ეს შავი კაცი?

**ნახევარფინალი**

**ბრაზილია 1:2 *არგენტინა***
**მაროკო 0:3 *ნიგერია***

**ნიგერიის** ნაკრების მწვრთნელი სამსონ სიასია ჩემპიონატის დაწყებიდანვე წუწუნებდა, მოუმზადებელი გუნდი მყავს, წესიერი შეკრება ვერ გავიარეთო. მოუმზადებელ-შეუკრებელი გუნდი ფინალში რიხით გავიდა. მეოთხედფინალში მასპინძელი ჰოლანდია დააჩოქა, ნახევარფინალში კი მაროკო.

„ჩვენ დავიმსახურეთ გამარჯვება — აღნიშნა სიასიამ — მთელი მატჩის გამნავლობაში მეტოქეს აშკარად ვჯობდით და ახლა თავი სიზმარში მგონია“.

ნიგერიამ მაროკოს კერკრადეში მოუგო, სადაც მეოთხედფინალში ჰოლანდიას სძლია, ამიტომ სტადიონზე მყოფნი მაროკოს ქომაგობდნენ. „სუპერმართველების“ ბურთან ნებისმიერ შეხებას ტრიბუნებიდან სტვენა და „ჰოლანდია, ჰოლანდია!“ მოჰყვებოდა, მაგრამ ნიგერიელები ისე ყოჩაღად გამოიყურებოდნენ, რომ თავშივე ცხადი იყო, მაროკო დაიჩაგრებოდა. ასეც მოხდა — „მარსელის“ მცველმა ტაი ტაივუმ და „სუპერმართველების“ კაპიტანმა პრომის ისააკმა თავისიანები დაწინაურეს.

ტაიმის შუაწელში ტაივუს შორიდან დარტყმული ბურთი მაროკოელმა მეკარე მოჰამედ ბურვადიმ გაჭირვებით მოიგერია.

წუთის შემდეგ ოვორას წაქცევისთვის ურუგვაელ მსაჯ ხორხე ლარიონდას პენალტის დანიშვნა მართებდა, მაგრამ არ დაუსტვინა.

თამაში დაწყებიდან ნახევარ საათში ნიგერიელებმა მეტოქე მიახრჩვეს: ტაი ტაივუმ ოვერირისგენ პასი მიიღო და საჯარიმოს შიგნიდან ცაციით ბურთი შორეულ კუთხეში გაიტანა.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მაროკოელებმა კარის ჩარჩოში ოთხჯერ მოარტყეს ბურთი, „სუპერმართველებმა“ კი — 15-ჯერ.

შესვენების შემდეგ მაროკოელთა ტანჯვა დაიწყო. 55-ე წუთზე ობი მიკელეს ჩაწოდებულ კუთხურს დელე ადელიეს თავური მოჰყვა და ხარიხა შეტოკდა. ამის მერე ოლუბაიო ადეფემმი ოციოდ მეტრიდან გაისროლა და კვლავ — ხარიხა.

AFP სურათიდან

ყმაწვილმა არგენტინელმა ლეო მესიმ (№18) ბრაზილიელებსაც გაუტანა

კარის ჩარჩოს ორჯერ შეზანზარებას მეორე გოლი მოჰყვა. ობი მიკელეს მომდევნო კუთხურზე ადეფემმი იხეირა — 2:0.

აქ უკვე გამოჩნდა, რომ მაროკოს ველარაფერი იხსნიდა მარცხისგან. ხუთი წუთის შემდეგ ჩანედიე ოგბუკემ მეტოქე მცველების „აჯაფსანდალით“ ისარგებლა და თავური დარტყმით ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა.

მაროკოს მწვრთნელმა გუნდის ასეთი ცუდი თამაში ნამატჩევს ახსნა: „ჩვენ უკეთესად თამაში შეგვეძლო, მაგრამ მედიისა და ფანების წნეხს ფეხბურთელებმა ვერ გაუძლეს“.

სამი გაშვებული გოლისგან გაჯავრებულმა მაროკოელებმა მხოლოდ ისღა მოახერხეს, რომ ჯერ მუნსინ იაჟური გააძევა მსაჯმა უხეშობისთვის, მერე კი რიდა დულიაზალი.

წინა ჩემპიონატის გამარჯვებული ბრაზილია არგენტინასთან მატჩისას ბოლოწამზე დამარცხდა. კვლავ კარგად ითამაშა ლეო მესიმ, რომელმაც ერთი გაიტანა და ერთი საგოლე პასიც მიითვალა.

არგენტინელები თავიდანვე დაცვაში ჩასხდნენ, მოედნის საკუთარი ნახევარი „აითვისეს“ და მეტოქეს პრესინგი შესთავაზეს, რის გამოც ბრაზილიელებს მხოლოდ შორიდან დარტყმის შანსი დაუტოვეს და ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდათ.

მეშვიდე წუთზე, მესიმ ცენტრიდან ბურთით იარა და მისი დარტყმის შემდეგ ანგარიში გაიხსნა. ხუთ წუთში მასვე შეეძლო, მეორე გაეტანა, თუმც არ გაუმართლა.

ბრაზილიელების საპირველტაიმო მომენტებიდან ორია გამოსარჩევი — რენატოს ჩაწოდებულ ბურთს ბობომ თავური დაჰკრა, მაგრამ კარს ააცილა, ისევე როგორც მოგვიანებით რაფაელ სობისმა.

კარგად მოთამაშე არგენტინელია დაცვა შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე შეცდა. საჯარიმოში შორიდან ჩაფრენილი ბურთი ყველა მცველს აცდა და რენატომ საგოლედ უთავაზა.

გაუჩოებმა, ისევე როგორც კოლუმბიასთან მერვედფინალში, აქაც ბოლო წამს იყოჩაღეს. ლეო მესის პასს კაპიტანი პაბლო საბალეტა მეკარის ბაქანზე დაუხვდა და მისი გოლით არგენტინა ფინალში გავიდა.

ბრაზილიელთა მწვრთნელმა რენე ვებერმა ნამატჩევს კოლეგას ფეხბურთი დაუწუნა: „საწყენია, რომ ასე წავაგეთ. არგენტინის კარგი თამაშის გამო კი არა, ჩვენი წამიერი უყურადღებობისთვის დავისაჯეთ. მთლიანობაში უსახური მატჩი გამოვიდა, რადგან მეტოქემ თამაში ჩაკეტა და ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მოგვცა.

**გაგა ხუციშვილი**

AFP სურათიდან

ნიგერიელი პრომის ისაკის ნაკრები ყველასთვის მოულოდნელად ფინალში ითამაშებს

# ოცი მეტრი წამში
## მე ყველას ვაჩვენე

*შტეფან ეფენბერგის წიგნი, რომელიც ორი წლის წინ გამოვიდა, მის სამშობლოში ბესტსელერად იქცა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მისი ავტორი მეოცე საუკუნის დასასრულს ყველაზე ექსცენტრიული გერმანელი ფეხბურთელია. მარტო იმის გახსენება რად ღირს, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატზე საკუთარ ქომაგებს შუათითი რომ გაუჭიმა და ნაკრებიდან გააგდეს, კარიერის მიწურულს კი მეგობარ თომას შტრუნცს ცოლი წაჰგვარა. წიგნში, რომლის ნაწყვეტებსაც გთავაზობთ, შტეფან ეფენბერგმა თავისი განვლილი გზა აღწერა და მის ხასიათსაც უკეთესად გაეცნობით*




**1968 წლის** 2 აგვისტოს, ეპენდორფის საავადმყოფოში დავიბადე — სამი კილო და შვიდასი გრამი, მაგრამ ნელ-ნელა დავსუსტდი და ორ კილოგრამამდე ჩამოვედი.

„თქვენს შვილს საშიში ვირუსი აქვს — უთქვამს ექიმს დედაჩემისთვის — ვერაფერს შეეპირდებით, უნდა მოვიცადოთ“. მოკლედ, სამი კვირა საავადმყოფოში გავატარე და მშობლებმა გამოჯანმრთელების შემდეგ წამიყვანეს.

ჩემი ოცნება, გავმხდარიყავი პროფესიონალი ფეხბურთელი, კინაღამ დასაწყისშივე დასრულდა. სამი წლისა გახლდით, დედასთან, ბებიასთან და ჩემს ძმა ფრანკთან ერთად სასაფლაოზე რომ წავედი. ძმებს მალევე მოგვწყინდა, ღობესთან დიდი ქვა ვნახეთ და როდეო მოვაწყვეთ. როგორც კი ქვაზე შევჯექი, გადაყირავდა და ქვეშ მოვექეცი. ფრანკმა შიშისგან დაიყვირა, დედა კი საშველად გამოიქცა. დიდი ჯაფა დაადგა, სანამ ქვას გადაგორებდა და გამათავისუფლებდა.

საბედნიეროდ, იმწუთას სასაფლაოზე მამაჩემიც მოვიდა. მიწაზე გაშოტილი რომ მნახა, გაოგნდა. საშინელი ტკივილისგან ვტიროდი. ბარძაყის ძვალი გამტეხოდა და საექიმოდ გამაქანეს. ოპერაციის შემდეგ, საავადმყოფოში კარგა ხანს დამტოვეს. შობის წინა დღეს კი გამომწერეს და ეს რომ გავიგე, სიხარულისგან ლიფტისკენ გავიქეცი. იმ მომენტში, დაახლოებით ორწამნახევარში, ორმოცდაათ მეტრამდე გავირბინე. დედაჩემმა, რომელიც ექიმს ელაპარაკებოდა, განცვიფრებულმა გამომაყოლა თვალი, ექიმი თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში უხსნიდა, ბავშვის რეაბილიტაციას დიდი დრო დასჭირდებაო.

### ავტოგრაფი საკუთარ თავს

პირველად ხუთი წლისამ შევახე ბურთს ფეხი. ეს ჰამბურგის „ვიქტორიაში“ მოხდა, სადაც მამაჩემი დიტერი თამაშობდა და მისთვის არც ერთი პოზიცია არ იყო უცხო. ვერ ვიტყვი, რომ ფეხბურთი მაშინვე შემიყვარდა. ექვსისა ვიყავი, როცა დედაჩემმა შეამჩნია — შუა თამაშის დროს ბურთს თავი დავანებე, ჩამოვჯექი და მიწაში ქექვა დავიწყე. „ფეხბურთი ისეთი სპორტია, რომ ბევრი უნდა იმოძრაო“ — მითხრა დედამ.

ბურთი დავივიწყე და გიტარაზე დაკვრა დავიწყე. ეს უფრო მომწონდა, ვიდრე მოედანზე სირბილი. 1973 წელს, შობის დღესასწაულზე, საბავშვო გიტარა მაჩუქეს. იმ დღეს უბედნიერესად ვიგრძენი თავი. მთელი დღეების განმავლობაში ვაჩხაკუნებდი, ბოლოს მამაჩემმა მოთმინება დაკარგა, ინსტრუმენტი გამომგლიჯა და უკანალზე შემომამტვრია. ამით დასრულდა ჩემი მუსიკალური კარიერა. დაკვრა რომ გამეგრძელებინა, ვინ იცის, ეგებ დიტერ ბოლენზე უკეთესი მომღერალი გამოვსულიყავი.

ჩვენს ოჯახში სპორტი ყოველთვის პირველ ადგილზე იდგა. დედა და ჩემი და ხელბურთს თამაშობდნენ, მამა კი, როგორც გითხარით, ფეხბურთელი იყო. მეექვსე კლასში მასწავლებელმა ჰარტვიგმა მკითხა, რომელ პროფესიას აირჩევ, სკოლას რომ დაამთავრებო. მე ვუპასუხე: „ფეხბურთელობა მსურს“. უკვე პროფესიული ფეხბურთელობისას ჰარტვიგმა წერილი მომწერა: „ძვირფასო შტეფან, შენ მართალი იყავი. გისურვებ ბედნიერებას“. ასე რომ, ჩემი პირველი ფანი მასწავლებელი გამოდგა, რაც არასოდეს დამავიწყდება.

ნებისმიერი ბავშვი, რომელიც ფეხბურთს თამაშობს, ამა თუ იმ ბუნდესლიგიური კლუბის ქომაგია. ჰამბურგში კი დავიბადე, მაგრამ მიუნხენის „ბაიერნს“ ვგულშემატკივრობდი. უნდა გენახათ, როგორ გავიხარე, როცა ერთხელ დედაჩემმა „ბაიერნის“ 11-ნომრიანი მაისურა მომიტანა. ამ ნომრით თამაშობდა მაშინ კარლ-ჰაინც რუმენიგე. მაისურა უცბად ჩავიცვი და ძმას სურათის გადაღება ვთხოვე. მერე ფოტოზე ხელი მოვაწერე და ეს იყო ჩემი პირველი ავტოგრაფი, რომელიც საკუთარ თავს ვაჩუქე.


შტეფან ეფენბერგმა მისი საოცნებო „ბაიერნის“ მაისურა მოიარგო

რაც უფრო ვიზრდებოდი, მით უფრო ინტენსიურად ვკვარჯიშობდი. 13 წლისამ ტყეში სირბილი დავიწყე. დღის მეორე ნახევარში ქუჩაში გავდიოდი და ბურთით ვმეცადინეობდი. ჩემი თანატოლები დისკოთეკებზე დადიოდნენ, მე კი ფეხბურთს ვთამაშობდი. თხუთმეტისა „ჰამბურგთან“ ერთად 16-წლამდელებისთვის ორგანიზებულ შეკრებაზე, დიკისბურლში წავედი. ბოლო დღეს, 200 ბავშვისგან მწვრთნელებმა 20 აირჩიეს, მაგრამ მათ შორის ვერ მოვხვდი. იმ მომენტში კინაღამ სტრესი დამემართა, მე ხომ დიდ გუნდში თამაშზე და ტელევიზორის ეკრანზე გამოჩენაზე ვოცნებობდი.

მომდევნო შეკრებისთვის უფრო მეტი მონდომებით მოვემზადე, მაგრამ ამჯერადაც არ ამიყვანეს ნაკრებში. მაშინაც ძალიან ცუდად გავხდი. მესამე ცდაზე, 1986 წელს, თავდაუზოგავად ვივარჯიშე. ეს ბოლო შანსი იყო. შეკრებაზე, ტურნირის დასასრულს, „ჰამბურგმა“ მოულოდნელად „ნიდერრაინს“ 3:2 მოუგო. ნამატჩევს მწვრთნელმა გიუნტერ გროტკოპმა გვიხმო და მათი გვარები დაასახელა, ვისაც ნაკრებში გამოიძახებდნენ. ჩემი გვარი კვლავ ვერ გავიგონე.

ფინალში გამარჯვების მიუხედავად, ჩემთვის სამყარომ არსებობა შეწყვიტა. მე ნაღდად კარგად ვთამაშობდი, ფორმის პიკში ვიყავი, ვითომ ბერტი ფოგთსი დაბრმავდა (ფოგთსი მაშინ ახალგაზრდულ ნაკრებს კურირებდა)? თვალებში პამიდვრები ხომ არ აქვს? პროფესიულ ფეხბურთზე ოცნება დასრულდა. სამი უშედეგო ცდა დუისბურგში. ასეთი ალიყურები ცხოვრებაში არასოდეს მიმიღია.

ბოლო შეკრებიდან ერთი კვირა იყო გასული, დედამ რომ დამიძახა, ტელეფონთან მოდიო. „მე ვოლფ ვერნერი ვარ, მიონხენგლადბახის „ბორუსიადან“, იუპ ჰაინკესის თანაშემწე — მითხრა კაცმა — შტეფან, დუისბურგში ვნახეთ შენი თამაში და ძალიან მოგვეწონე. გვსურს, რომ საცდელ ვარჯიშებზე მოგიწვიოთ“. ყურებს არ დავუჯერე. „ბაიერნის“ გარდა, მე ხომ „ბორუსიასაც“ ვქომაგობდი. სასწაული! ჩემი ოცნება გაცოცხლდა. დაუჯერებელია, რომ „ბორუსიას“ საუკეთესო ფეხბურთელებს — ფროინცეკს, კამპსს, ბრაუნსს და ჰოხშტეტერს ვნახავ. მეორე დღეს, დილაადრიან უკვე ბორუსიელთა გასახდელში ვიყავი. ჯერ ადგილი არ მოსულიყო და [illegible] ფეხბურთელის ადგილი არ დამეკავებინა. მაშინ ეკალდ ლინენი დამეხმარა. „აქ ჩამოჯექი. ეს თავი [illegible]“ — მითხრა მან.

მიონხენგლადბახში ხუთი დღე დავრჩი. ვარჯიშებზე ბოლომდე ვეხარჯებოდი. სხვები, რომლებიც ჩემსავით ბედის საცდელად იყვნენ მოსულნი, საღამოობით ლუდის დასალევად მიდიოდნენ, მე კი სასტუმროში ვრჩებოდი. ამ ხუთ დღეს ჩემი მომავალი უნდა გადაწყვეტილ. „ბორუსიას“ ყველა ფეხბურთელი კარგად შემხვდა. მიხაელ ფრონცეკმა, ბუნდესნაკრების მცველმა, ერთხელ სტადიონზე ავტომობილითაც კი მიმიყვანა.

ბოლო დღეს, ჰარასკევს, ყველანი შეგვკრიბეს. კლუბის მენეჯერი ჰელმუტ გრასჰოფი, მთავარი მწვრთნელი იუპ ჰაინკესი და მისი თანაშემწე ვოლფ ვერნერი საკრებულოში მოკალათდნენ და ახალწვეულები სათითაოდ გამოგვიძახეს. ტუჩლები ამოკანკალდა და ხელები გამიყინულიანდა, მათთან ოთახში რომ შევედი იუპ ჰაინკესმა მითხრა: „შენთან ძალიან კმაყოფილნი ვართ და გვსურს, კონტრაქტი შემოგთავაზოთ“ ალბად შევიკავე თავი, რომ არ წავიქცეულიყავი. კონტრაქტი! მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ! ასე ახლა ჩემი ოცნება. „ბორუსიას“ ათეული გარიგება გაკეთდა. პირველი წელი ბორუსიელია ახალგაზრდულ გუნდში უნდა გამეტარებინა და 5 ათასი მარკა მქონდა. მომდევნო სამი სეზონის განმავლობაში კი, როგორც სრულფასოვან პროფესიონალს, თვეში სამ ათას მარკას და ყოველწლიურად 2,5 ათასს პრემიალურს გადაიხდიდნენ.

### ექვსიანი

სიხარული მარტოობით გამოწვეულმა სევდამ შეცვალა. მიონხენგლადბახში გადასულს სახლი მიმენატრა. 17 წლის ვიყავი და გუნდთან ერთად სათამაშოდ რომ მიდიოდი, ცრემლი მეძალებოდა. იუპ ჰაინკესმა ეს რამდენჯერმე შეამჩნია, მოვიდა და მითხრა: „შეეფარ, მხოლოდ იმაზე იფიქრე, თუ რისი მიღწევა შეგიძლია ამ გუნდში“.

1987 წელს ჰაინკესი მიონხენის „ბაიერნში“ გადავიდა, ჩვენი მწვრთნელი კი ვოლფ ვერნერი გახდა. იმავე წლის ნოემბერში გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოვხვდი. თასების მფლობელთა თასზე „ესპანიოლთან“ გასვლითი მატჩის წინ ვერნერმა დამიძახა: „ხვალ ბარსელონაში მივფრინავთ, გაემზადე“. თავი უზომოდ ბედნიერად ვიგრძენი. ასე დამიფასდა შრომა. ბარსელონაში ის თამაში წავაგეთ და თასისთვის ბრძოლას გამოვეთიშეთ, 1987 წლის 21 ნოემბერს კი ჩემი ბუნდესლიგური დებიუტი შედგა. „ბორუსია“ „კაიზერსლაუტერნს“ 1:0-ს უგებდა, როცა ვერნერმა მიხმო: „შტეფან, გამოიცვალე. სათამაშოდ შეხვალ“. ჩვენ მოვიგეთ. მეორე დღეს კი გაზეთმა „რაინიშ ჰოსტმა“ დაწერა: „ეფენბერგმა თავისი შანსი გამოიყენა“.

მომდევნო მატჩში „ბოხუმთან“ მწვრთნელმა თავიდანვე მათამაშა. ექვსნომრიანი მაისურა მერგო და ნახევარდაცვის ცენტრში გამაძღვანეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

*გაგრძელება იქნება*

# სარგებელი კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნოგით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 1 | ცსკა-დინამო | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 15:00 | 2 | კრილია-როსტოვი | 1.55 | 3.70 | 5.30 | 1.09 | 1.19 | 2.17 |
| 15:00 | 3 | სატურნი-სპარტაკი | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| 15:00 | 4 | შინიკი-მოსკოვი | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 15:00 | 5 | ტომსკი-ალანია | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 15:00 | 6 | ტორპედო-რუბინი | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 15:00 | 7 | ზენიტი-ამკარი | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 15:00 | 8 | ლოკომოტივი-ტერეკი | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 18 | სოგნდალი-ჰიოდი | 1.50 | 4.30 | 5.00 | 1.11 | 1.15 | 2.31 |
| 20:00 | 19 | ალტა-სანდეფიორდი | 4.00 | 4.20 | 1.65 | 2.04 | 1.16 | 1.18 |
| 20:00 | 20 | ფოლო-ბრინი | 4.50 | 4.00 | 1.55 | 2.11 | 1.15 | 1.11 |
| 20:00 | 21 | ჰინდუსტპორს ეერნლანდი | 1.95 | 3.90 | 3.00 | 1.29 | 1.18 | 1.69 |
| 20:00 | 22 | მოსი-სკეიდი | 1.60 | 4.00 | 4.50 | 1.14 | 1.18 | 2.11 |
| 20:00 | 23 | სტაბეკი-ლოვ კამი | 1.15 | 7.30 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 4.21 |
| 20:00 | 24 | სტრომსგოდსეტ-ტონსბერგი | 2.00 | 3.90 | 2.90 | 1.32 | 1.18 | 1.66 |
| 20:00 | 25 | ტონსბერგი-მანდალი | 2.05 | 4.00 | 2.80 | 1.35 | 1.18 | 1.64 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 20:00 | 53 | კტპ-ჰაკა | 3.80 | 3.20 | 1.95 | 1.73 | 1.28 | 1.21 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 23:15 | 62 | ჰაფნარფიორდური-ვრამი | 1.45 | 3.80 | 5.50 | 1.04 | 1.14 | 2.24 |
| 23:45 | 63 | კეფლავიკი-ვრინდავიკი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:15 | 64 | თროტური-ვალური | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **1 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 67 | ბოჰემიანი-უოტერფორდი | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:45 | 68 | დროგედა-ბრეი | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |
| 22:45 | 69 | დუბლინი-კორკი | 3.30 | 3.20 | 2.00 | 1.62 | 1.24 | 1.23 |
| 23:00 | 70 | შელბურნი-დერი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 71 | ლონგფორდი-შემროკი | 2.00 | 3.10 | 3.30 | 1.21 | 1.24 | 1.59 |
| 22:45 | 72 | ჰერპსი-სტ.პატრიკსი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| | | **იაპონია** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 14:00 | 73 | ტოკიო-ჩერეძო | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 14:00 | 74 | ვამბა-ვერდი | 1.70 | 3.30 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 14:00 | 75 | ივატა-კავასაკი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 14:00 | 76 | კაშივა-ჰიროსიმა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 14:00 | 77 | ნაგოია-ომია | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 14:00 | 78 | ოიტა-იოკოჰამა | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 14:00 | 79 | კობე-იჩიჰარა | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| | | **3 ივლისი** | | | | | | |
| 13:00 | 80 | კაშიმა-შიმიცუ | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 14:00 | 81 | ურავა-ნიიგატა | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიაში(20)** | | | | | | |
| | | **2 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 246 | ბრაზილია(20)-მარიკო(20) | 1.45 | 3.80 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.35 |
| 22:00 | 247 | არგენტინა(20)-ნიგერია(20) | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 126 | რუსენბორგი-ჰიონეფოსი | 1.15 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.42 |
| 21:00 | 128 | სტარტი-ვოლერენგა | 2.45 | 3.30 | 2.60 | 1.40 | 1.26 | 1.45 |
| 21:00 | 227 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 129 | ჰაგიდბრუტბრელუბორგი | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| 21:00 | 130 | ჰეკენი-მალმიო | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **30 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 132 | ჩივასი-ატლეტიკო პრ | 1.65 | 3.40 | 4.40 | 1.11 | 1.20 | 1.91 |


CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24


**მესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩოგბურთი უიმბლდონი ქალები** | | | | | | | | |
| **30 ივნისი** | | | | | | | | |
| 15:00 | 228 | შარაპოვა-ვ.უილიამსი | 1.40 | | | | | 2.60 |
| 15:00 | 229 | დევენპორტი-მორესმო | 1.35 | | | | | 2.90 |
| **ფრენბურთი.კაცები. მსოფლიო ლიგა.** | | | | | | | | |
| **1 ივლისი** | | | | | | | | |
| 19:00 | 300 | ბულგარეთი-იტალია | 1.90 | | | | | 1.70 |
| 22:00 | 301 | სერბეთი-საბერძნეთი | 1.35 | | | | | 2.90 |
| 23:45 | 302 | არგენტინა-პოლონეთი | 1.80 | | | | | 1.85 |
| 23:45 | 303 | კუბა-საფრანგეთი | 1.30 | | | | | 2.75 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2 ივლისი** | | | | | | | | |
| 10:00 | 304 | იაპონია-პორტუგალია | 2.20 | | | | | 1.45 |
| 17:00 | 305 | ბრაზილია-ვენესუელა | 1.03 | | | | | 8.00 |
| **ფრენბურთი** | | | | | | | | |
| **კაცები. ევროლიგა** | | | | | | | | |
| **2 ივლისი** | | | | | | | | |
| 18:00 | 306 | ესტონეთი-ფინეთი | 1.80 | | | | | 1.80 |
| 20:00 | 307 | თურქეთი-ესპანეთი | 1.45 | | | | | 2.20 |
| 20:00 | 308 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | 1.15 | | | | | 4.00 |
| 21:30 | 309 | გერმანია-რუსეთი | 2.30 | | | | | 1.40 |


CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | |
|---|---|
| **თბილისი** | ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 |
| **ქუთაისი** | პუშკინის ქუჩა№16 — ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 |
| | ჭავჭავაძის № 67 — ცენტრალური ავტოსადგური |
| **გორი** | სტალინის ქუჩა №14 |
| **თელავი** | „ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი |
| **ბათუმი** | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 |
| **მარნეული** | რუსთაველის ქუჩა №50 |
| **ოზურგეთი** | გაბრიელ ეპიკოპოსის ქუჩა №2 |
| **გურჯაანი** | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 |
| **საგარეჯო** | დავით აღმაშენებლის №30 |
| **სამტრედია** | რუსთაველის გამზირი №27 |
| **ხაშური** | რუსთაველის ქუჩა №16 |
| **წნორი** | სტალინის ქუჩა №1 |
| **ბორჯომი** | რუსთაველის ქუჩა №145 |
| **ზესტაფონი** | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 |
| **ახალციხე** | ნათენაძის ქუჩა №7 |
| **რუსთავი** | შარტავას ქუჩა №7 |

პატარეების დიდი თავყრილობა ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში

ფაბრიციო რომანო, ბადრი პატარკაციშვილი, ლერი ხაბელოვი, დავით ნამგალაური და გიორგი უდესიანი

IGNANO
SABBIADORO

# რომაობა, რომანო, იტალია და საიტალიო ქართველობა

ევროპის ახალგაზდობის ოლიმპიური ფესტივალი პირველად 1991 წელს გაიმართა ბელგიის ქალაქ ბრიუსელში, მაგრამ ჩვენს ქვეყანას მაშინ, მოგეხსენებათ, არ ეფესტივალებოდა და არ ეზეიმებოდა, ამიტომაც საქართველომ ის დღეები გამოტოვა. ჩვენს სპორტსმენებს არც მომდევნო თამაშებისას ეთამაშებოდათ და ეზეიმებოდათ, მაგრამ ამგვარ ასპარეზობაში ორი წლის მერე ვალკენსვაარდში (ჰოლანდია) მაინც ჩაებნენ, სადაც თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მას მერე საქართველოს სპორტსმენები ამ კომპლექსურ შეჯიბრებებში სისტემატურად გამოდიან და, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად მუდამ აუმჯობესებენ შედეგებს. მათ ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიურ ფესტივალში, როგორც ამ შეჯიბრებას პარიზიდან (2003) მოყოლებული ეწოდება, სულ 31 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 9 ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს ჯილდო.

ამ წარმატებებში ლომის წილი მიუძღვით ჩვენს ძიუდოისტებს, გუნდური სახეობებიდან კი საქართველოს სპორტსმენებმა მხოლოდ ფეხბურთში იზეიმეს გამარჯვება. ეს მოხდა 1997 წელს ლისაბონში, სადაც ჩვენი ფეხბურთელები ჩემპიონები გახდნენ.



ბადრი პატარკაციშვილი

ნიკოლოზ ქურდაძე და ოქსანა კალაშნიკოვა

ახლა ლინიანოში საქართველოს ძიუდოისტებიც იასპარეზებენ და ფეხბურთელებიც. მათ გარდა გამოდიან ნიჩბოსნები, ჩოგბურთელები და ტანმოვარჯიშეები. დელეგაციაში არის ერთი მძლეოსანიც.

ისინი ეროვნული დროშის ფერებში შეკერილი სპორტული ფორმით შეს „სარომ" შემოსა, რომელიც გუშინ ჩოგბურთელებმა ოქსანა კალაშნიკოვამ და ნიკოლოზ ქურდაძემ ბადრი პატარკაციშვილის რეზიდენციაში წარმოგვიდგინეს. იქვე ნიკოლოზ ქურდაძემ ლინიანოში წამსვლელი ყველა სპორტსმენის სახელით ოლიმპიური ფიცი დადო, რომ პატიოსან ბრძოლაში თავს არ დაგზოგავთ წარმატების მისაღწევადო.

ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისისა და საქართველოს სპორტის მესვეურები, შესაბამის ფედერაციათა პრეზიდენტები, ვეტერანი და მოქმედი ცნობილი სპორტსმენები. მათგან ახალგაზრდა სპორტსმენებს გზა დაულოცეს და წარმატებები უსურვეს საქართველოს სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ოდიშარიძემ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა...

ჩვენს სპორტსმენებს, ბუნებრივია, გზა დაულოცა ბადრი პატარკაციშვილმაც, ოღონდ, რა თქმა უნდა, მხოლოდ სიტყვით კი არა, სავსე ჭიქითაც, თუმცა ეს უკვე მერე იყო, ოფიციალური ცერემონიალის ბოლოს.

— დღეს რომში თბილისობის ძალავსი რომაობაა და იქ ყველა ხეიმობს, იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო კი ახლა აქ, ჩვენს გვერდითაა და ჩვენს პატარა ზეიმს ესწრება. იმედია, იტალიიდან თქვენი დაბრუნების მერე, უფრო საზეიმოდ გვექნება საქმე — თქვა გუშინდელი ღონისძიების მასპინძელმა ბადრი პატარკაციშვილმა.

რაღა თქმა უნდა, მიკროფონთან ელჩიც მივიდა. მან ჩვენს სპორტსმენებს თავის საშობლოში ყველაზე მეტი მედლის მოპოვება უსურვა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

*ბადრი კეთილაძის ფოტოები*



ზურაბ ზვიადაურმა ფესტივალის მონაწილეებს გზა დაულოცა



ფესტივალის მონაწილეებმა ოლიმპიური ფიცი ხელმოწერებითაც განამტკიცეს

# ქუთაისელები ოქროს ეზიდებიან



ფოტო ფრანსუა ლოლორისგან

არსენ კასაბიევი და გიორგი ასანიძე

**ვაკის** ძალოსნობის დარბაზში საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. დღეს ფიცარნაგზე ოთხი უმძიმესი წონის ძალოსნები გაიკლეს. საღამოს ყველა წონაში ჩემპიონ-პრიზიორის ვინაობა გაირკვევა. პირველი ოთხი წონის მედალოსნები კი გუშინწინ და გუშინ გამოვლინდნენ.

ტურნირში საქართველოს თოიქმის ყველა რეგიონის სპორტსმენები მონაწილეობენ. გუშინ საღამოს საუკეთესო მაჩვენებელი ქუთაისს ჰქონდა. ოთხი ოქროს მედლიდან სამი სწორედ იმერეთში წავიდა. 62 კილოგრამ წონით კატეგორიის სპორტსმენთა შორის პაატა მოდებაძემ იმარჯვა, 69-ში გელა სიხარულიძემ, ხოლო 77-ში რაულ ცირეკიძემ. ერთადერთი წონა, რომელშიც ქუთათურებმა კვარცხლბეკს ვერ უწიეს, 56 კილოგრამი იყო. აქ ბადალი არ ჰყავდა ჭაბუკთა შორის ევროპის პირველობის პრიზიორსა და რეკორდსმენს, დედოფლისწყაროელ ზვიად სამუკაშვილს. მან 105,5 კილოგრამი აიტაცა და 137,5 კილოგრამი აჰკრა. ეს ორივე შედეგი საქართველოს რეკორდია. საერთო ჯამში სამუკაშვილს 243 კილოგრამი დაუგროვდა და მეორე ადგილზე გასულ გურამ გოგრაჭაძეს 63 კილოგრამით გაუსწრო.

ჩემპიონსა და მეორე პრიზიორს შორის სხვაობა 62 და 69 კილოგრამ წონით კატეგორიებშიც გვარიანი იყო. 77-ში კი ბოლო წუთამდე დაძაბული ბრძოლა ვიხილეთ. ცირეკიძემ ფიცარნაგზე მესამე გასვლაზელა მოახერხა თანაქალაქელ პაატა გეგეშიძის ორკილონახევრით გადასწრება.

დღეს შტანგას 85, 94, 105 და +105 კილოგრამიანი ძალოსნები შეეჯიდებიან. ყველაზე საინტერესო ულაპარაკოდ 94 კილოგრამიანთა გამოსვლა იქნება. ორიოდ თვის წინ ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატიდან ოქროს მედლის ჩამომტანი, ქართული ძალოსნობის იმედი არსენ კასაბიევი ყველაზე ტიტულიან მოქმედ ქართველ სპორტსმენ გიორგი ასანიძეს დაუპირისპირდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. [illegible]

საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

# ზორბა ნაბიჯი საუიმბლდონო ხონჩისკენ



AFP ლონდონიდან

ენდი როდიკი

### მეოთხედფინალი კაცები

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **ფერნანდო გონსალესი** (21, ჩილე) 7:5 6:2 7:6 (7:2); **ენდი როდიკი** (2, აშშ) — **სებასტიან გროჯანი** (9, საფრანგეთი) 3:6 6:2 6:1 3:6 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (3, ავსტრალია) — **ფელისიანო ლოპესი** (26, ესპანეთი) 7:5 6:4 7:6 (7:2); **ტომას იოჰანსონი** (12, შვედეთი) — **დავიდ ნალბანდიანი** (18, არგენტინა) 7:6 (7:5) 6:2 6:2

**ამქრის** ზეგარდმო პირველოსანმა კიდევ ერთი ზორბა ნაბიჯი გადადგა საიმისოდ, რათა მომავალ კვირადღეს საჩემპიონოდ ზედიზედ მესამე უიმბლდონური ხონჩა შემართოს. მორიგი დახვეწილი და ნატიფი ნაბიჯი მან ლონივრად მოგლაჯუნე ჩილელის, ფერნანდო გონსალესის ზურგზე გადაატარა, ხვადისა, რომლისგან ფედერერის ძლევა მეკუშეთა თამდობით — არც არავის ეკვერებოდა.

ჰოდა, ამიტომ იყო, უმეტესი ფსონები სწორედ პირველოსნის გავაკეებაზედ რომ ჩაიმასჭნეს. და არც უნანიათ, რაკიღა როჯერი ბალახზე კი არა, საერთოდაც შეუდარებელია და ვინ მამაძაღლს გაუკვირდებოდა, თავისი აღმატებული ჩოგნაობით უნიჭო ჩილელი რომ დაემორჩილებინა.

ეს დღეს ხოშიანად ვითამაშეო, ამბობდა მერე მხიარული როჯერი და იმას ხარობდა, უკვე ზედიზედ მესამე წელი ნახევარფინალში რომ გაღწია. საქმეში ჩაუხედავი მკითხველისთვის კი გავიხსენოთ, რომ ფედერერი უიმბლდონობის წინა ორი წლის ჩემპიონია და თუკი ამ საქმეს ამ ჯერზეც მოაყომარებს, ბიორნ ბორგისა და პიტ სამპრასის შემდეგ მესამე კაცი გახდება, ლონდონურ სეფკოინდარს საჩემპიონოდ ზედიზედ მესამედ რომ გაუკეგავს.

ისე კი, მან რომ გუშინ გონსალესს მოუგო, ეს მისი ზედიზედვე 34-ე მოგებული სამალახსაფრო შეხვედრა იყო, ხოლო ამ ამბავში რეკორდსანი 1974-81 წლებში მოკრეთ 41 საკონდრო მატჩის მომკელი ბორგი გახლავთ.

თუმცა, ფინალში რომ გაიღწიოს, ტურნირის 2002წლის ჩემპიონ ლეიტონ ჰიუიტის მოიკლავა მოუწევს. ეს კი და, ოღლი საქმე სულაც არ გახლდათ.

არადა, ჰეი-ჰეი, რომ, რომ ლოპესისა მეტისმეტად გვეშინოდა, რაკიღა მანამდე მარატ საფინისა და მარიო ანჩიჩის აგრესიულად მძლეველს ტანმორჩილი ოზბიჭის გასაბუნტულებლად თითქოს ჩოგანიც ერჩოდა და უჩოგნობაც.

მაგრამ — მადლობა საჩოგბურთო ღმერთებს — ამ ჯაბუკს გუშინ ისედაც ისე-რა ნიჭი სულ მთლად რომ მოუბლაგვეს, კისკას კონტენტელს კი იმის რწმენა რომ შთაბერეს, ვინძლო, მან მაინც გადაუჯოკრის ამქრის უსტაბაშს.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალს, იქ, როგორც მოსალოდნელი იყო, ფედერერისგან შარშანდელ ფინალში ძლეული ენდი როდიკი იბუქნავებს. ოღონდ საამფოსტოდ მძლავრად მოეთე ამერიკელს ძის ძირ ბალახზე არა ერთგზის გამოიურებულ სებასტიან გროჯანთან ხუთსეტიანი განდაგანობა მოუხდა.

შარშანდელმა ნახევარფინალისტმა გროჯანმა გუშინ დასტურ ჩინებულად იბურთავა და მეტოქედ სხვა ხვადი რომ რგებოდა, ეგებ გადარჩენილიყო კიდეც, მაგრამ 22 წლის ენდიბოი მასთან აქამდეც 6:1 უპირატესობდა და ეს ბარაქიანი წინსვლა არც ამ მატჩისას გაუნელებია.

ნახევარფინალში კი ის შეხვდება ტომას იოჰანსონს, პირველ შეკვლს ბოლო 12 წლის განმავლობაში, უიმბლდონობის ბოლო ოთხეულს რომ უწია. და, მართალია, ეს 30 წლის სკანდინავი, რომელმაც 2002 წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, ახლა ერთობ რიგიანად ბურთაობს, მისი და ენდი როდიკის დაპირისპირების თაობაზე ჩვენ ცალსახა წარმოდგენა გვაქვს.





ჯორჯ ბუშის ზრახვანი თანამემამულეთ კონდოლიზა რაისამ ამცნო

# ჯორჯ ბუშის ოლიმპიური ოცნება

**ამერიკის** სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა განაცხადა, რომ ჯორჯ ბუში პირადად არის დაინტერესებული 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ნიუ იორკის გამარჯვებაში. ამიტომაც ბუშმა თავისი საუკეთესო მეგობარი შეიყვანა ამერიკის დელეგაციაში, რომელიც სინგაპურში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მიემგზავრება, სადაც სწორედ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობაც უნდა გაირკვეს.

„აქამდე ამერიკის არც ერთი პრეზიდენტი ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ ოცნებას არ სთავაზობდა თავის პირად მხარდაჭერას“ — განაცხადა რაისმა გუშინ ნიუ იორკში.

„იმისთვის, რომ პრეზიდენტმა თავისი სრული მხარდაჭერა გამოხატოს, ჯორჯ ბუშმა თავისი ძველი და ყველაზე საიმედო მეგობარი როლანდ ბეტსი ნიუ იორკის ოლიმპიური განაცხადის წარმომადგენლად დანიშნა“ — თქვა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა.

რაისმა აღნიშნა, რომ სინგაპურში ამერიკის დელეგაციის გამგზავრებამდე, ნიუ იორკში თავისი გამოჩენით მას სურდა ეჩვენებინა პრეზიდენტისადმი, მთელი ამერიკის მოსახლეობისადმი და ამ შესანიშნავი ქალაქისადმი სამთავრობო მხარდაჭერა, რომელსაც 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს.

**ავთანდილ ბუკვიზელი**

# ჩემპიონი მიდის და მძლეოსნობაზე აღარ ფიქრობს

**სიდნეის** ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა შვიდჭიდში დენიზ ლუისმა განაცხადა, დიდი სპორტიდან მივდივარო. ეს გადაწყვეტილება 32 წლის დიდბრიტანელმა სპორტსმენმა მას მერე მიიღო, რაც ავადმყოფობის გამო სამი კვირით ვარჯიში გაუცდა და ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ნორმატივს ვერ შესწვდა.

„ამან მაიძულა, რომ დავფიქრებულიყავი დიდ სპორტთან გამოთხოვებაზე. ახლა მომავალზე ვფიქრობ და ალბათ იგი მძლეოსნობასთან დაკავშირებული არ იქნება“ — თქვა ლუისმა. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვების შემდეგ გოგონას დაბადების გამო მას თითქმის ორი წელიწადი არ უასპარეზია, ხოლო 2003 წელს პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ მეხუთე ადგილი დაიკავა.

**ავთანდილ ბუკვიზელი**



## ევროპის ფაფუნა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 0:1 | ვასილიოს კოტრონიასი (საბერძნეთი) |
| ლევან ფანცულაია (საქართველო) | 0,5:0,5 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| ორესტ გრიტსაკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ზვიად იზორია (საქართველო) |
| მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | არტაშეს მინასიანი (სომხეთი) |
| ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 1:0 | ლეონიდ კრიტცი (გერმანია) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 1:0 | ნაზარ ფირმანი (უკრაინა) |
| დავით მაღალაშვილი (საქართველო) | 1:0 | აგნიეშკა მატრახი (პოლონეთი) |



15 წლის სერგეი კარიაკინი ჩემპიონატის ლიდერია

# 15 წლის კარიაკინი ევროპას ლიდერობს

**ამ** ტურამდე პირველ ადგილზე სამი მოჭადრაკე იყო მოკალათებული: რუმინელი ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ, ევროპის მოქმედი ჩემპიონი, უკრაინელი ვასილ ივანჩუკი და მისი თანამემამულე, 15 წლის სერგეი კარიაკინი. აქედან ორმა, ივანჩუკმა და ნისიპეანუმ, მეათე ტურში ერთმანეთში ყაიმი ითამაშეს, კარიაკინმა კი თანამემამულე ალექსანდრ მოისეენკოს თეთრი ფიგურებით მოუგო და კვლავ ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

უკრაინელი ვუნდერკინდის წარმატებული თამაში პრესას უყურადღებოდ არ დაუტოვებია და მასზე მრავალი საქებარი სიტყვა ითქვა.

„კარიაკინს შეუძლია, ყოველთვის კარგად ითამაშოს და თავისი მებრძოლი სული გამოავლინოს“ — ვკითხულობთ ჩემპიონატის მთავარ ინტერნეტ-საიტზე.

ჯერჯერობით წარმატებულს ვერ ვუწოდებთ ჩვენი ვაჟების თამაშს. ქართველთაგან საუკეთესო კვლავ ლევან ფანცულაიაა. იგი 6,5 ქულით მე-17 ადგილზეა და 1,5 ქულით ჩამორჩება კარიაკინს.

**ლაზა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 8 ქულა |
| 2 | ვადიმ მილოვი (შვეიცარია) | 7,5 |
| 3 | ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) | 7,5 |
| 4 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 7,5 |
| 5 | კარენ არსიანი (სომხეთი) | 7,5 |
| 17 | ლევან ფანცულაია (საქართველო) | 6,5 |
| 47 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 6 |
| 53 | ზვიად იზორია (საქართველო) | 6 |
| 75 | მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 5,5 |
| 94 | ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 5,5 |
| 129 | მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 5 |
| 158 | დავით მაღალაშვილი (საქართველო) | 4,5 |



# განაჩენი გადაიდო

**FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP**

**გუშინ** პარიზში საფორმულო სასამართლო შედგა. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მსოფლიო საბჭომ საგანგებო სხდომაზე „მიშლენის“ საქმე განიხილა.



შეგახსენებთ ვითარებას: ათი დღის წინ ამ ფრანგული სუპერკონცერნის მოთხოვნით „სამეფო რბოლების“ შვიდმა გუნდმა პროტესტის ნიშნად მონაწილეობა არ მიიღო აშშ-ის დიდი პრიზის გათამაშებაში. ბოიკოტის მიზეზი რბოლისწინა ვარჯიშზე ტოიოტელების, რალფ შუმახერისა და რიკარდო ზონტას ავარიები გახდა, რაც სწორედ „მიშლენის“ საბურავების გასკდომამ გამოიწვია.

მებორბლეები შიშობდნენ, პროფილირებულ დახრილ მოსახვევში გადაჭარბებული დატვირთვის გამო საბურავები რბოლისას 10-15 წრის შემდეგ ეგებ ისევ გასკდეს და უსაფრთხოების გარანტიას ვერ ვიძლევით. ცხადია, სახელგანთქმული ფირმისთვის, რომლის „ფეხსაცმელი“ ამერიკულ ჯოსმოსურ „შატლსაც“ კი აცვია, ეს აშკარა თავის დამცირება იყო, მაგრამ მაინც წავიდნენ ამ ნაბიჯზე.

ფედერაციის ხელმძღვანელებმა მათ თხოვნას, ან საბურავების შეცვლის ნება დაგვრთეთ, ანდა „რალფის ვირაჟში“ დამატებითი დამანელებელი მოსახვევი მიაწყეთ, ცხადია, წაუყრუეს, რადგან ეს მიიღებ-საჭიროინატო მზეკიცე დებულების დარღვევა იქნებოდა.

ერთი სიტყვით, რბოლა ვერ შედგა, მაგრამ მიშლენიანი 14 ხელმძღვანის გარეშე. ფედერაციამ ბოიკოტმა აღაშფოთა და ორში შვიდეულის და „მიშლენის“ ბრძოლა „ხალხისაზე“ გაძლიერდა. ეკონომიკურ კარგახანს გაგრძელდა ფ. ტ. ... თავიანთ პრეზიდენტ ... წინამძღოლობით განდგომილი ... ცრად დასვას მოითხოვდნენ, მაგრამ რადგან მიშლენიანებმა თავის მხარე აღიარეს, რომ საკითხი ... გაანალიზდეს, ვერდიქტი ... შეურბილდება.

ბჭობის შედეგად მხოლოდ ის გადაწყდა, რომ ურჩი შვიდეული ხუთიდან ორ პუნქტში დამორჩილებულ სცნეს, თუმც საბოლოოდ გადაჩენს 14 სექტემბერს გამოიტანენ.

**გია ახალაძე**




სასამართლოს მიზეზი რალფ შუმახერის ავარია გახდა

# ჭკვიანი სათვალე



**დიდ** ბრიტანეთში შეიქმნა „ჭკვიანი საცურაო სათვალეები“, რომელიც სპორტმენს საშუალებას აძლევს თვალი ადევნოს დროს და მის მიერ დაფარულ მანძილს ისე, რომ ზედმეტი ენერგია არ დახარჯოს.

სათვალეში მოთავსებული ინფორმაცია, რომელიც სტუდენტმა გოგომ, კეიტი უილიამსმა შექმნა, მონაცემებს ანათებს ლინზის შიდა მხრიდან.

ყოველთვის, როცა მოცურავე აუზის ერთი თავიდან მეორეში მიცურავს, ეს მანძილი უმალ ფიქსირდება სათვალეში ჩამონტაჟებულ კომპასზე.

— ახლა მოცურავეებს შესაძლებლობა ექნებათ მთელი გულისყური გადაიტანონ ცურვის ტექნიკაზე და არა მათ მიერ გაცურული მანძილის თვლაზე — თქვა კეიტი უილიამსმა.

კეიტის ამგვარი სათვალის გამოგონების იდეა მაშინ გაუჩნდა, როცა იგი ადგილობრივ საცურაო აუზში მაშველად მუშაობდა.

— მოცურავეთა უმრავლესობა დროს აკვირდება ხელის ან კედლის წამზომით, ეს კი სპორტსმენის მიერ განვითარებულ სისწრაფეზე უარყოფითად მოქმედებს. ხელის საათით მოცურავე იძულებულია მარცხენა მაჯა ოდნავ შემოაბრუნოს, ეს კი მას გარკვეულ ენერგიას ართმევს — ამბობს კეიტი — ამას გარდა, ბევრ მოცურავეს უჭირს გაცურული მანძილის თვლა. მე, მაგალითად, სულ მუდამ მერეოდა ანგარიში.

ამ საცურაო სათვალეს, რომელსაც INVIEW უწოდეს, ჩამონტაჟებული აქვს კომპასი, რომელიც მოცურავის წყალში ჩახტომისთანავე მოქმედებას იწყებს. მერე, როცა მოცურავე აუზის ერთი თავიდან მეორესთან მიცურავს, კომპასი ამას აფიქსირებს, როგორც დაფარულ წრეს.

— ჯერჯერობით ამ სათვალეში ჩამონტაჟებული ელექტრონული ბლოკი კენჭის ოდენაა და ცურვისთვის ოდნავ მოუხერხებელი — აღიარებს უილიამსი — ოღონდ ამ სათვალის ბოლო ვარიანტში ელექტრონიკა მონეტაზე მეტ ადგილს არ დაიკავებს და პრაქტიკულად შეუმჩნეველი იქნება.

**ავთანდილ ბუკიზელი**



# ლია კარის დღე კორტებზე

**3 ივლისს** საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია აცხადებს „ჩოგბურთის ღია კარის დღეს“. დილის 10 საათიდან 16 საათამდე მთელ საქართველოში მოქმედი ყველა საჩოგბურთო კლუბის კორტები უსასყიდლოდ დაეთმობათ ამ სახეობის მოყვარულებს, ბავშვებსა და მოზარდებს, მოქმედ პროფესიონალ მოთამაშეებსა და ვეტერან ჩოგბურთელებს.

აქციის მიზანია ჩოგბურთისა და სპორტის პოპულარიზაცია, ღონისძიებას კი კომპანია „კოკა-კოლა“ სპონსორობს.



AFP ლონდონიდან

# ᲛᲐᲙᲘᲜᲠᲝᲘᲡ ᲡᲔᲘᲠᲝᲑᲐ

*დიდჩოგბურთობა, აბა, როგორ ჩაივლის ჯონ მაკინროის გარეშე. უიმბლდონზე საგანგებოდ მიწვეულმა ამერიკელმა პიტერ ფლემინგთან წყვილში სასეირო მატჩი აჩვენა ხალხს ჯონ ფეგერისა და ჯონ ლოიდის წინააღმდეგ.*

AFP ალმერიიდან

# ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲚᲚᲐ

*ხმელთაშუა ზღვის თამაშებზე შეჯიბრად "ეგლიონურიც" იმართება. ამ ფოტოდან კი ჩანს, რომ ფრანგი არელი ბონინი თურქ გოგოებთან ვერას გახდება.*

AFP ალმერიიდან

# ᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲣᲚᲘ

*ეს ამბებიც სახმელთაშუაზღვაო თამაშებზე ხდება: ბეჭზე დელფინამოტვიფრული გოგო ესპანელი მოცურავე ერიკა ჟილაუკიხა გახლავთ, ცარცში ამოგანგლული ხელები კი თურქ ემინ ბილგინს ეკუთვნის, რომელშიც დასტურ ამოიცნობთ ძალოსანს. უფრო ნატიფი იერის გოგო თუ გნებავთ, აგერ ფრანგი ტანმოვარჯიშე მარინ დებოვი. ამათ კომპანიაში კი გამორეულან ნიღბოსანი კაცები, მჩხვლეტი იტალიელი ანდრეა კასარა და ჩამუხლული რუსი სერგეი ტიხონოვი.*





AFP ალმერიიდან

# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფეიერაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვიანა ახალაძე, ლევან ყანლარაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი ბერეკაა
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენგაშვილი, ბადრი ყიფიანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ბოხალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათელა ბუხუტიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღუღლაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, ოფენეზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ბურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პრიკუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge